

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლელა რეხვიაშვილი

**ვედაგოგიური ინფრასტრუქტურა
სასკოლო პრაქტიკაში**



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2012

წინამდებარე მონოგრაფია “პედაგოგიური ინფრასტრუქტურა სასკოლო პრაქტიკაში” ეხება ყოველმხრივ ჰარმონიულად განვითარებული, “ახალი ტიპის ქართველის” ჩამოყალიბების პრობლემას.

მასში განხილულია სკოლის *პედაგოგიური ინფრასტრუქტურის ხერხემალი* – სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი თავისი შემადგენელი სტრუქტურული ელემენტებით; ბავშვის პიროვნების განვითარებისა და ფორმირებისათვის უნიკალური შესაძლებლობის მქონე აღმზრდელობითი მუშაობის ფორმა- **კლასგარეშე მუშაობა** და ამ საქმიანობის წარმმართველი სამი ბურჯი: **მოსწავლეები, სკოლა და მშობლები** თავიანთი მოვალეობებით, ურთიერთდმოკიდებულებებითა და კავშირებით; ჩატარებული პედაგოგიური კვლევის შედეგების საფუძველზე გაანალიზებულია თანამედროვე სკოლაში კლასგარეშე მუშაობის მდგომარეობა, მასში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის ხარისხი და ჩამოყალიბებულია ამ მუშაობის გასაუმჯობესებელი პედაგოგიური რეკომენდაციები.

წიგნი განკუთვნილია პედაგოგიური საზოგადოების, სტუდენტების, მშობლებისა და სწავლა-აღზრდის საკითხით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

- რედაქტორი: **თამაზ კარანაძე**
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
- რეცენზენტები: **ჯემალ ჯინჯიხაძე**
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი
- გულნაზ ხუხუა**
პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი
- ლელია შეროზია**
პედაგოგიკის დოქტორი, ასისტენტი
პროფესორი

© ლ.რეხვიაშვილი, 2012

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2012

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-638-8

შ ე ს ა ვ ა ლ ი

დღეს, როგორც არასდროს, აღმზრდელობითი პროცესის აქტუალური და მთავარი ეფექტური პირობაა მოსწავლეების გარემომცველი ყველა სოციალური ინსტიტუტის და აღზრდის გზების საყოველთაო ინტეგრაცია.

ბოლო წლებში ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის სოციალურმა ინსტიტუტებმა დაკარგეს ან მნიშვნელოვნად შეასუსტეს თავიანთი აღმზრდელობითი ფუნქციები. სკოლის კავშირი სოციუმთან თანამედროვე ეტაპზე გვესახება განსაკუთრებულად აქტუალურ თემად, რადგან ეს კავშირები სოციალური გაჭირვების ჟამს ფაქტობრივად მოშლილია და საჭიროებს რეაბილიტაციას და გაახლებას. ეს არის სოციალური დაკვეთა. სწორედ ამ დაკვეთებაში გამოიკვეთა პასუხი კითხვაზე, თუ **როგორი უნდა იყოს თანამედროვე სკოლა?**

სკოლა წარმოადგენს პირველ ორგანიზებულ გარემოს, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოქმედებს ინდივიდზე. მისი სოციალური ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს მოზარდი თაობის ზიარება ცივილიზაციების მიერ შექმნილ ფასეულობებთან და აღჭურვოს ის ამ სიმდიდრის ათვისებისა და გაუმჯობესების უნარ-ჩვენებით. სკოლა უნდა წარმოადგენდეს სოციუმთან ურთიერთობის ცენტრს. თანამედროვე სკოლა, სამწუხაროდ არ მუშაობს ოჯახთან ერთიან სისტემაში, მას არ აქვს მკვეთრი პოზიცია სოციუმში თავისი როლის მიმართ, ვერ ახდენს არსებით გავლენას აღზრდის პროცესსა და შედეგებზე.

ბავშვის ინდივიდუალურობა თავდაპირველად ფორმირდება ოჯახში. აქ ითვისებს ბავშვი ზნეობრივ ნორმებს, ოჯახში ყალიბდება მისი ცხოვრებისეული გეგმები და ზნეობრივი იდეალები. მშობლების ზნეობრივი სიმნიფის დონეს, მათ იდეალებს, სოციალური ურთიერთობების გამოცდილებას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. სკოლის აღმზრდელობითი მუშაობა არ შეიძლება წარიმართოს ამ ფაქტორის გათვალისწინების გარე-

შე. მხოლოდ ერთიანი აღმზრდელობითი გარემოს შექმნას შეუძლია დაგეგმილი შედეგების მიღწევაზე გარანტიის მოცემა.

მშობლებთან მუშაობის ორგანიზების აუცილებლობა სრულებით არ არის ნაკარნახევი მშობლის ვალდებულებით “დაეხმაროს სკოლას”. სკოლა პროფესიონალურად თვითონ უნდა უმკლავდებოდეს თავის ფუნქციებს. მშობლებთან მუშაობა გამოწვეულია ყოველი მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებაზე ზრუნვით: საჭიროა, რომ ოჯახში მას ჰქონდეს ხელშემწყობი პირობები; ოჯახური აღზრდა უნდა იმყოფებოდეს სასკოლო აღზრდის სისტემასთან ჰარმონიაში და სკოლის აღმზრდელობითი შედეგები “არ ირეცხებოდეს” ოჯახების მიერ, რათა არ იყოს პედაგოგიური დაპირისპირებულობა ოჯახსა და სკოლას შორის, რომლისგანაც ზარალდება პირველ რიგში მოსწავლე და მისი განვითარება.

სკოლა, რომელიც არ ცხოვრობს გაკვეთილების შემდეგ – ვერ უზრუნველყოფს ბავშვთა სწორად წარმართულ ზნეობრივ აღზრდას. კარგი სკოლა – ორგანიზებული ურთიერთობების ცენტრია. ურთიერთობის ჩამოყალიბების არაჩვეულებრივ შესაძლებლობას იძლევა კლასგარეშე მუშაობა თავისი უნიკალური ფორმებითა და მეთოდებით. განათლების სფეროში დანაწევრებული რეფორმა გულისხმობს მასწავლებლის მიერ აღზრდის და სწავლების ინოვაციურ გააზრებას, ფორმებისა და ხერხების ძიებას, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის, შიდასასკოლო მართვის სტილისა და მეთოდების გაუმჯობესების მიზნით ეფექტური მიმართულების ძიებას, დემოკრატიის, თანამშრომლობისა და შემოქმედებითი მუშაობის გაღრმავებას.

საგანმანათლებლო პრაქტიკაში ჰუმანური პედაგოგიკის დანერგვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის თითოეული კომპონენტს გავიაზრებთ ახლებურად.

ვინაიდან სკოლის პედაგოგიურ ინფრასტრუქტურაში კვლევის ობიექტად ჩვენ ავირჩიეთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, მისი ცხოველმოქმედებისათვის გვერდს ვერ ავუვლით აღმზრდელობითი მუშაობის ისეთ უნიკალურ ფორ-

მას, როგორცაა **კლასგარეშე მუშაობა** და ამ საქმიანობის წარმმართველ სამ ვეშაპს, სამ ბურჯს: **მოსწავლეებს, სკოლას და მშობლებს** თავიანთი მოვალეობებით, ურთიერთდმოკიდებულებებითა და კავშირებით.

- **მასწავლებელი**

- ❖ მოსწავლეთა სრულფასოვანი განვითარებისათვის პირობების შექმნა.
- ❖ სასწავლო და არასაკავშირებლო სისტემის აღმზრდელობითი მუშაობის წარმართვა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების შეთვისებისაკენ;
- ❖ ბავშვის პიროვნების განსავითარებლად პროგრამის შექმნა, რომელიც ერთმანეთს დაუკავშირებს სწავლებასა და აღზრდას.
- ❖ სკოლაში ბავშვების სიყვარული, სიკეთე და ადამიანური სითბო.

- **მშობელი**

- ❖ ბავშვებში შემოქმედებითი უნარის აღმოჩენა და განვითარება;
- ❖ ბავშვებისათვის მათი პიროვნული რეალიზაციის შესაძლებლობის მინიჭება.
- ❖ მასწავლებლებთან და მეგობრებთან ურთიერთობის სიხარული

- **მოსწავლეები**

- ❖ საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენა და განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა;
- ❖ სასწავლო და არასასწავლო საქმიანობის შემოქმედებითი ხასიათი;
- ❖ საკუთარი მოთხოვნილებებისა და ინტერესების რეალიზების შესაძლებლობა.

იმისათვის, რომ გაგვერკვია თანამედროვე სკოლაში კლასგარეშე მუშაობის მდგომარეობა, მასში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის ხარისხი, ჩვენ ჩავატარეთ კვლევა

თბილისის რამდენიმე საჯარო და კერძო სკოლაში, გავაანალიზეთ მიღებული შედეგები და ჩამოვაყალიბეთ ამ მუშაობის გასაუმჯობესებელი პედაგოგიური რეკომენდაციები.

თუ სკოლა თავის პრაქტიკულ საქმიანობაში გაითვალისწინებს აღმზრდელობითი საქმიანობის ფაქტორებს, განავითარებს შიდა კავშირებს და დაეყრდნობა ჩვენს მიერ ქვემოთ შეთავაზებულ მეცნიერულად დასაბუთებულ რეკომენდაციებს, ის ნადვილად სასურველი და მისაღები იქნება როგორც ბავშვებისათვის, ისე მათი მშობლებისათვისაც.

**თავი I. კლასბარეში მუშაობის შინაარსი,
ფორმები, მეთოდები და ასპექტები
სასკოლო პრაქტიკაში**

**კლასგარეშე საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი
მუშაობის შინაარსი და მისი როლი მოსწავლეთა
სოციალიზაციაში**

თანამედროვე სკოლამ დაკარგა აღზრდის ფორმულირებული მიზანი და რაციონალური სისტემა, კლასის დამრიგებლობა იქცა ფორმალობად, მცდელობა აღზრდა დავიწყანოთ განათლებამდე ეწინააღმდეგება მსოფლიო პედაგოგიკის გამოცდილებას, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენ ვიმყოფებით გარდამავალ პერიოდში, ვართ ძიების პროცესში, როდესაც მოხდა უარყოფა ძველი სისტემის, როგორც “კომუნისტურის” და საზღვარგარეთიდან ხელაღებით ყველაფრის გადმოტანა და დანერგვა ეროვნული ნიადაგის გაუთვალისწინებლად, როგორც “ახლისა”. ამ “ექსპერიმენტებმა” განათლების მესვეურები მიიყვანეს იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა მოხდეს ზომიერი დაბალანსება, წარსულიდან ფასეულის გადმოტანა და პროგრესული სიახლის დანერგვა სკოლაში.

სკოლა ყოველთვის საზოგადოების ნაწილია, სკოლაში იბადება ქვეყნის ხვალისდელი დღე, ამიტომაც სკოლის ბედი – მხოლოდ პედაგოგიკის ვიწრო წრის სპეციალისტების საქმე როდია.

ოჯახი აყალიბებს პიროვნების ფუნდამენტს, სკოლაზე კი მისი მშენებლობის მთავარი სამუშაო მოდის, თანაც არცთუ იშვიათად საჭირო ხდება ფუნდამენტის გამაგრება ან გადაკეთება.

ჩვენს ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური კრიზისი მჭიდროდ არის დაკავშირებული საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი სისტემების განვითარების დაბალ დონესთან. საქმე გვაქვს განსაკუთრებულ აღმზრდელობით

დისონანსთან. პედაგოგიური დისონანსი გაიგება როგორც ჰარმონიისა და შეთანხმებულობის არრსებობა, როგორც სავარაუდო და არსებული აღზრდის შედეგების დაშორიშორება. აღზრდის განზრახვული მიზნები რჩებიან დისონანსში რეალურად გამოვლენილ შედეგებთან – ახალგაზრდობის შეხედულებებთან და ქცევასთან.

მაგალითად საზოგადოებრივი ფასეულობების სისტემაში, რომელთაც ახალგაზრდობა იღებს, ჭარბობს ის, რაც ეხება მათ პირად ინდივიდუალურ საქმეებს, ისეთი კი, როგორიცაა კულტურული და საზოგადოებრივი აქტივობა, პირველ პლანზე ნამდვილად არ არის.

რით აიხსნება პედაგოგიური დისონანსი?

უპირველესად, ალბათ, საზოგადოებრივი მოვლენების დისონანსით, რომელიც ვლინდება აღზრდის ფართო გაგებას (სოციალიზაცია) და აღზრდის ვიწრო მნიშვნელობას შორის.

ფართო გაგებით აღზრდა მოიცავს ყველა მოვლენას და პროცესს, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივ-კულტურული და ბუნებრივი გარემოს ზემოქმედებასთან ადამიანზე, რომლებიც აღზრდიან მის პიროვნებას.

ვიწრო გაგებით – ეს მხოლოდ იმ პიროვნებებისა და დაწესებულებების გააზრებული და გამიზნული ქმედებებია, რომლებიც ამ საქმიანობით არიან დაკავებულნი და ცდილობენ პიროვნების ფორმირებას მიღებული ნიშუმის და აღმზრდელობითი იდეალის შესაბამისად.

ასეთი დიფერენციაციის გათვალისწინებას და მიზანმიმართულად ორგანიზებულ აღზრდაზე ყურადღების გამახვილებას მანემდე აქვს აზრი, სანამ ამ ფართო საზოგადოებრივ გარემოში სუფევს შედარებითი წესრიგი და ჰარმონია, ხოლო ნეგატიური მოვლენები, რომლებიც ადამიანზე სტიქიურად მოქმედებენ, არ აღემატებიან განსაზღვრულ საგანგაშო ნიშნულს. ამ კრიტიკული ნიშნულის გადამეტებისას აღმზრდელობითი დაწესებულებების საქმიანობა ირღვევა და შეუძლია ხელი შეუწყოს ნეგატიური მოვლენების გაძლიერებას. სწორედ ასეთი პროცესი შეინიშნება ახლა აღზრდაში, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ დიდი ცვლილებების და საზოგადოებრივი

დაძაბულობის ეპოქაში. საზოგადოებაში დარდაქმნითი პროცესების წნეხი და ტემპები, მათი ურთიერთქმედება და ნეგატიური მოვლენების გაძლიერება იწვევს დაგეგმილი მიზნების, შინაარსის, ფასეულობების და ჰუმანური იდეალების აღმზრდელობითი პროცესების შესუსტებას ან საერთოდ გაქრობას. იმარჯვებენ ცალკეული ერთეულების და საზოგადოებრივი ჯგუფების ოჯახში, შრომით გარემოსა თუ საცხოვრებელ ადგილში რეალური ცხოვრების წესთან შეგუების სპონტანური პროცესები.

ასეთ ვითარებაში სოციალიზაციის გავლენა არა მხოლოდ უფრო ინტენსიური ხდება, არამედ წინააღმდეგობრივიც, რასაც შეუძლია შეასუსტოს ან გაანადგუროს აღზრდის დაგეგმილი პირობები.

რა პოზიცია უნდა დაიჭირონ პედაგოგებმა ასეთ ვითარებაში?

აღბათ, ყველაზე მართებული იქნება ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მეცნიერებების უკვე არსებული თეორიული მიღწევების და ცალკეული ინდივიდუალური კონცეფციების გამოყენება საგანმანათლებლო ცვლილებების რეგულირებისათვის. ეს დირექტივა პირველ რიგში ეხება თანამედროვე სკოლის აღმზრდელობითი საქმიანობის მოდერნიზაციას.

სკოლა უნდა გახდეს ადგილი, სადაც კულტივირებული იქნება ზოგადადამიანური ფასეულობები, უპირველესად კი ჰუმანური, სადაც აღმზრდელობითი ზემოქმედებით მიიღწევა “მქონდეს” ორიენტაციის შეცვლა ორიენტაციაზე “ვიყო”.

აღმზრდელობითი საქმიანობის მაღალი ხარისხისაკენ სწრაფვა პირდაპირ უკავშირდება აღმზრდელობითი საქმიანობის სისტემურ ორგანიზებას, რასაც შემდეგი ფაქტორები განაპირობებს:

- აღმზრდელობითი საქმიანობის სუბიექტის – ბავშვის პიროვნების მთლიანობა. პიროვნება ერთ მთლიან პროცესში ვითარდება და შეუძლებელია მისი “ნაწილ-ნაწილ” აღზრდა.

- აღზრდის სხვადასხვა სფეროს გამოყენების მეშვეობით აღმზრდელობით ზემოქმედებათა სპექტრის გაზრდა;
 - აღმზრდელობითი საქმიანობის ორგანიზებისათვის სასწავლო დაწესებულებაში არსებული ყველა რესურსის მობილიზება და ოპტიმალური გამოყენება.
- უცვლელია სკოლის აღმზრდელობითი საქმიანობის შიდა კავშირების განვითარება:
- სკოლის ყველა შემადგენელი ნაწილის გამთლიანება ბავშვის განვითარების მიზნისათვის;
 - აღმზრდელობითი პროცესის საფუძველის – მოსწავლეთა ცხოველქმედების ორგანიზება;
 - სკოლის ცხოვრება აღსავსე უნდა იყოს განსხვავებული ხასიათის საქმიანობით (სასწავლო, შრომითი, საქველმოქმედო, გასართობი), რათა თითოეულმა მოსწავლემ იპოვოს შესაფერისი საქმე, მიაღწიოს კონკრეტულ ნარმატებას, ჩამოუყალიბდეს საკუთარი თავის რწმენა, რომლის გარეშე შეუძლებელია ღირსების გრძნობისა და ზნეობრივი სიმტკიცის გამომუშავება;
 - სწავლების ფორმებისა და მეთოდების რადიკალური სრულყოფა “მოსწავლე-მასწავლებლის” ურთიერთობაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების დასაწერგად მუშაობის გაძლიერება.
 - აღზრდის გააზრება, როგორც თანამშრომლობის საწყისებზე აგებული, მოზარდთა განვითარებისაკენ მიმართული საქმიანობა;
 - პიროვნებათაშორისი ურთიერთობების განუხრელი ჰუმანიზმი. უარის თქმა ავტორიტარულობასა და უხეშობაზე.¹

¹ ბარაბაძე ხ. სკოლის აღმზრდელობითი საქმიანობა განათლების სისტემაში მიმდინარე ინოვაციური პროცესების პირობებში. დის. ავტ.- თბ. 2005 გვ.51, 61.

ამ ამოცანების კონცეპტუალური მიდგომების მასშტაბური სირთულე და სიახლე, პირვალ რიგში, გულისხმობს მიზანდასახვისა და მიზნის რეალიზების ერთიანობას, მეცნიერული პროგნოზირების საფუძველზე გრძელვადიან და მოკლევადიან დაგეგმვას.

სასკოლო აღზრდაში უნდა დაინყოს ყურადღების კონცენტრაცია ამოცანებზე და კონკრეტულ ღონისძიებებზე და არა მხოლოდ აღსაზრდელის სახეზე. აღზრდაში ყურადღების კონცენტრაცია უნდა მოხდეს პერსპექტივაზე, მომავალზე და არა მხოლოდ წარსულსა და აწმყოზე. აღმზრდელით საქმიანობაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს მიმართულებას ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღების განვითარებაზე. ეს ნიშნავს ისეთი ადამიანების აღზრდას, რომლებიც არა მხოლოდ ინარჩუნებენ არსებულ სინამდვილეს, არამედ მიდრეკილნი იქნებიან დაგეგმონ ცვლილებები გარემოში და საკუთარ თავში, რაც მნიშვნელოვანია აზროვნების და ახალგაზრდობის საზოგადოებრივი ქცევის გარდაქმნისათვის.

ასეთი თვისებების მიღწევის წყალობით შესაძლებელი ხდება ხალხის მზაობა თანამშრომლობისათვის და სხვა ადამიანების თუ დაწესებულებების საკეთილდღეოდ მიმართული საქმიანობისათვის.

რაც შეეხება სკოლას, მის აღმზრდელით საქმიანობაში მისაღებია პარტნიორობის პრინციპი. განახლებას საჭიროებს აღზრდის თეორიაც, რომლის როლი საზოგადოებრივ-აღმზრდელით პრაქტიკაში ბევრად აღმატებულია, თუ გავითვალისწინებთ საზოგადოებრივი დისონანსის მოვლენებიდან გამომდინარე წინაპირობებს. მისი საფუძველი უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა რეალური ფაქტები, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივი და ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარეობენ. აღზრდა ხომ საზოგადოებრივი ცვლილებების და ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროების პროგრესის ქმედით ფაქტორს წარმოადგენს.

ბავშვების სოციალური აღზრდა წარმოადგენს საზოგადოების სტაბილიზაციის მნიშვნელოვან ფაქტორს. ის უნდა აღწევდეს 2 მიზანს:

- თანამედროვე პირობებში მოზარდი თაობის წარმატებულ სოციალიზაციას;
- ადამიანის, როგორც მოქმედების სუბიექტის და პიროვნების თვითგანვითარებას.

სწორად ორგანიზებული კლასგარეშე მუშაობა სკოლაში ამ მიზნების განხორციელების საწინდარია.

სწორ შემთხვევაში სკოლებს არ შეუძლიათ აირჩიონ კლასგარეშე და შიდასასკოლო მუშაობის საჭირო მიმართულება. ამას მოჰყვება დროის, მოსწავლეთა ინტერესის დაკარგვა და მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის ურთიერთობის გაართულება.

კლასგარეშე მუშაობა ახდენს ბავშვის პიროვნების განვითარებას და ფორმირებას. აღმზრდელობითი პროცესის წარმართვა ნიშნავს არა მხოლოდ ამ თვისებების განვითარებას და სრულყოფას, რაც ადამიანს ბუნებით აქვს ბოძებული, ან მის ქცევაში და გონებაში არასასურველი სავარაუდო სოციალური გადახრის კორექტირება, არამედ, მასში მუდმივი თვითგანვითარების, ფიზიკური და სულიერი ძალების თვითრეალიზაციის მოთხოვნილების გამომუშავება, რადგან თითოეული ადამიანი უპირველეს ყოვლისა თვითონაა საკუთარი თავის აღმზრდელი და აქ მოპოვებული – სამუდამო მონაპოვარია.

კლასგარეშე მუშაობაში დიდ როლს ასრულებენ შიდასასკოლო ღონისძიებები (საღამოები, დისკოთეკები, მეჯლისები და სხვა). მათი ორგანიზებისას აუცილებელია ხელმძღვანელობის და პედაგოგიური კოლექტივის ძალისხმევა მივმართოთ:

- მისი შინაარსის **მრავალფეროვნებაზე**, ანუ მან უნდა მოიცვას ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური და შრომითი აღზრდა.
- ამ მუშაობის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს **მასობრივი ფორმების** გამოყენება, როგორც მოსწავლეთა აღზრდისათვის, ისე მათი თავისუფალი დროის გონივრული ორგანიზაციისათვის.
- პედაგოგიურმა კოლექტივმა უნდა იზრუნოს, რომ კლასგარეშე მუშაობამ მოიცვას **ყველა მოსწავლე**.

- კლასგარეშე მუშაობამ უნდა განავითაროს მოსწავლეთა საზოგადოებრივი ინტერესები, აქტივობები და დამოუკიდებლობა.²

სწორედ ამ დებულებების გათვალისწინებით პედაგოგიურმა კოლექტივმა უნდა დაამუშავოს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის სისტემა, ხოლო სკოლის ხელმძღვანელობამ უნდა გაუწიოს მეთოდური დახმარება და განახორციელოს კონტროლი ჩატარებული მუშაობის ხარისხზე.

კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაციის ზოგადი პრინციპებიდან გათვალისწინებული უნდა იქნას ამ ფორმების არჩევისა და მეცადინეობების ნებაყოფლობითობა. მოსწავლეთა ინტერესების გამორკვევის მიზნით, სასურველია სკოლაში ჩატარდეს ანკეტირება იმის შესახებ, თუ გაკვეთილების შემდეგ რითი სურს მოსწავლეს დაკავდეს?

მთავარია, რომ მეცადინეობის ნებისმიერ სახეს, რომელშიც ჩართულნი იქნებიან ბავშვები, ჰქონდეს საზოგადოებრივი მიმართულება, რათა ბავშვმა დაინახოს, რომ საქმე, რომელსაც ის აკეთებს, ღირებულია და ესაჭიროება საზოგადოებას. აქ ძალიან მნიშვნელოვანია ინიციატივაზე და თვითმოქმედებაზე დაყრდნობა, განსაკუთრებით იმ სკოლებში, სადაც ყველაფერს მასწავლებლები აკეთებენ ბავშვების მაგიერ.

თუ ეს პრინციპი მართებულად განხორციელდება, მაშინ მოსწავლის მიერ ის აღიქმება ისე, თითქოს სწორედ მათი ინიციატივითაა წარმოქმნილი.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ყოველი ღონისძიება წყვეტდეს აღმზრდელობითი ამოცანების მაქსიმუმს. შინაარსისა და ფორმის არჩევისას აუცილებელია მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება

აღმზრდელობითი მუშაობის ყველა სახეობის მნიშვნელოვან წინაპირობად უნდა ჩაითვალოს მათი ერთიანობის, თანამიმდევრობის და ურთიერთზეგავლენის უზრუნველყოფა.

² Циганова Ю. А. Внеклассная работа и степень ее влияния на развитие социальных качеств личности. =Челябинск, 2005.с.8-16.

კლასგარეშე მუშაობის გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენს: ინდივიდუალური, წრეობრივი და მასობრივი.

ინდივიდუალური – ეს ცალკეულ მოსწავლეთა დამოუკიდებელი საქმიანობაა, რომელიც მიმართულია თვითაღზრდაზე (მაგალითად, მოხსენების, მხატვრული თვითმოქმედების ნიმუშების, ილუსტრირებული ალბომების მომზადება და ა. შ.)

ეს ფორმა საშუალებას აძლევს ყველას ნახოს თავისი ადგილი საერთო საქმეში, მასწავლებლებისაგან კი ეს საქმიანობა მოითხოვს მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნას ანკეტირების, საუბრების, მათი ინტერესების შესწავლის გზით.

წრეობრივი კლასგარეშე მუშაობა – ხელს უწყობს ინტერესების გამოვლენა-განვითარებას ხელოვნების, სპორტის, მეცნიერების რომელიმე სფეროში. გავრცელებული ფორმებია წრეები და სექციები (ტექნიკური, სპორტული, მუსიკალური, თეატრალური და სხვა). წრეებში სხვადასხვა სახის მეცადინეობები ტარდება: მოხსენებები, ექსკურსიები, შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან, ლიტერატურული ნაწარმოებების განხილვა და სხვა. წრის წლიური ანგარიში ტარდება კონფერენციის, გამოფენის, საღამოს, კონცერტის სახით.

სკოლაში ყველაზე გავრცელებულია მასობრივი მუშაობის ფორმები. ისინი გათვლილია ერთდროულად მოსწავლეთა დიდი რაოდენობით მოცვაზე, მათთვის დამახასიათებელია საზეიმო ვითარება, მრავალფეროვნება, დიდი ემოციური ზემოქმედება ბავშვებზე. მასობრივი მუშაობა თავის თავში მოიცავს მოსწავლეთა აქტივობის დიდ შესაძლებლობებს. მაგალითად კონკურსი, ოლიმპიადა, შეჯიბრი, თამაში უშუალოდ თითოეულისაგან მოითხოვს აქტივობას. საუბრების, საღამოების ჩატარებისას მოსწავლეთა ნაწილი წარმოგვიდგება ორგანიზატორის თუ შემსრულებლის როლში. ისეთი ღონისძიების ჩატარებისას კი როგორცაა სპექტაკლზე დასწრება, შეხვედრა საინტერესო ადამიანებთან – ყველა მონაწილე მაყურებლის როლშია. საერთო საქმეში მონაწილეობით გამონვეული განცდა წარმოადგენს კოლექტივის შეკვრის მძლავრ საშუალებას. მასობრივი მუშაობის ტრადიციულ ფორმას წარმოადგენს

სასკოლო ზეიმები. ისინი ეძღვნება კალენდარულ დღეებს, კულტურის მოღვაწეებს და ა.შ. წლის განმავლობაში 4-5 ზეიმის მოწყობაა შესაძლებელი, რომლებიც აფართოვებენ მსოფლმხედველობას და ქვეყნის ცხოვრებაში მონაწილეობის შეგრძნებას იწვევენ. მასობრივი მუშაობის ფორმას მიეკუთვნება კლასის საათიც, რომელიც წარმოადგენს აღმზრდელობითი საქმიანობის შემადგენელ ნაწილს და ტარდება მისთვის განსაზღვრული დროის მონაკვეთში. კლასის საათის ჩატარების მეთოდუკას ჩვენ ცალკე პარაგრაფი მიუძღვნით და უფრო დანვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

კლასგარეშე მუშაობის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში რეალიზებულია ურთიერთსწავლების პრინციპი, როდესაც უფროსები გადასცემენ თავის გამოცდილებას უმცროსებს. სწორედ ამაში მდგომარეობს კოლექტივის აღმზრდელობითი ფუნქციის რეალიზაციის ეფექტური ხერხი.³

პედაგოგიკის თეორიაში კლასგარეშე მუშაობის საკითხი საკმაოდ დამუშავებულ თემატიკას მიეკუთვნება. ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტი წარმოდგენილია ი.კ.ბაბანსკის, ე.გ. კოსტიამკინის, ა.გ. ხრიპკოვას, კალეჩიცის, მ.შ.გიგინეიშვილის, ა.ციბაძის, დ. დარჩიას შრომებში, მაგრამ საყოველთაოდ მოშლილმა აღმზრდელობითმა სისტემამ, ღირებულებითი ორიენტაციების დაკარგვამ გადაგვანყვეტილება მიგვაღებინა, შეგვემონებინა კლასგარეშე მუშაობის ადგილი სასკოლო პრაქტიკაში თანამედროვე ეტაპზე.

თბილისის №141, №10, №175 სკოლებში ჩვენ ჩავატარეთ პედაგოგიური კვლევა, რომლის მიზანი იყო მასწავლებელთა და მოსწავლეთა დაინტერესების ხარისხის გამოვლენა კლასგარეშე მუშაობის ჩატარებაში. ანკეტირებამ მოიცვა 92 VII-VIII კლასელი და 22 მასწავლებელი. მასწავლებლებს დაურიგდათ 50 ანკეტა, მაგრამ ყველამ არ ისურვა ეპასუხათ შეკითხვებზე.

³ ი.ახობაძე მუსიკალური აღზრდა კლასგარეშე მუშაობისას (1-4კლასები).- თბ.1995.გვ.9.

შეკითხვაზე “გაქვს თუ არა ჰობი?” ყველა მოსწავლემ დადებითად უპასუხა. კითხვაზე კერძოდ რომელი?

ლიტერატურა დაასახელა რესპოდენტთა 7,6%, მუსიკა – 18,5%, ცეკვა 33, 7%, კომპიუტერი 23,9%, სპორტი–35,9%, სხვა – 4,3%. გრაფაში “სხვა” ვთხოვეთ ჩაენერათ მიუთითებელი გატაცება. აღმოჩნდა რომ მათი ინტერესის სფეროს წარმოადგენს თეატრი, ფოტოგრაფია, ხატვა და მოგზაურობა. მოსწავლეთა გარკვეულმა ნაწილმა მიუთითა ინტერესის 2 სახეობაზე: მაგ. “მუსიკა-ცეკვა” და “მუსიკა-სპორტი” აინტერესებს 3,3%, “ცეკვა-კომპიუტერი” კი 2,2%.

კითხვაზე გაქვს თუ არა შესაძლებლობა სკოლაში დაკავდე შენი ჰობით? მივიღეთ ასეთი პასუხები:

ყოველთვის 17,4% იშვიათად 32,6% არასოდეს–20,7%. დანარჩენებმა არ უპასუხეს.

ახერხებ თუ არა, ჰარმონიულად შეათავსო სწავლა სპორტთან, ხელოვნებასთან ?

დიახ	44,6%
უფრო კი, ვიდრე არა	20,7%
უფრო არა, ვიდრე კი	9,8%
არა	14,1%
მიჭირს პასუხის გაცემა	6,5%

სკოლა მუდმივად აფართოვებს თქვენი ურთიერთობების სფეროს? იწვევს საინტერესო ადამიანებს, აწყობს ექსკურსიებს, კონფერენციებს და ა. შ.

დიახ	60,9%
უფრო კი, ვიდრე არა	20,7%
უფრო არა, ვიდრე კი	6,5%
არა	2,2%
მიჭირს პასუხის გაცემა	4,3%

გაკმაყოფილებით კლასის ხელმძღვანელის მიერ ჩატარებული კლასგარეშე მუშაობა?

დიახ	68,5%
უფრო კი, ვიდრე არა	7,6%
დიახ, მაგრამ უფრო მეტია სასურველი	4,1%
არა	7,6%

შენი აზრით ვინ უნდა ჩაატაროს კლასგარეშე მუშაობა, უშუალოდ კლასის დამრიგებელმა თუ სხვა პირმა?

მოსწავლეთა 58,7% ეს პრეროგატივა მიანიჭა დამრიგებელს, ინდიფერენტული აღმოჩნდა 21,7%, ამ რანგში სხვა პირის მუშაობა ისურვა 12%, პასუხის გაცემა გაუჭირდა 4,3%.

როგორ ატარებთ თავისუფალ დროს კლასთან ერთად?

დავდივართ კინოში, კონცერტზე	23,9%
დავდივართ სპექტაკლზე	3,3%
ვატარებთ თამაშებს, შეჯიბრებებს	17,4%
სხვა	20,7%

არაფერს არ ვაკეთებთ ერთად	16,3%

გრაფაში “სხვა” მოსწავლეებმა ჩანერეს: “ვსეირნობთ”, “დავდივართ ერთმანეთთან”, “ვმამიმუნობთ”, “ვხვდებით ერთმანეთს და ვერთობით” და სხვა. 7,7% -მა დაკონკრეტების გარეშე აღნიშნა გრაფა “სხვა”.

კითხვაზე „აკმაყოფილებს თუ არა სკოლა შენს ინტერესებს?“ პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

აკმაყოფილებს 54,3%; ცდილობს დააკმაყოფილოს 30,4% ვერ აკმაყოფილებს 6,5%.; მცდელობაც კი არა აქვს - 4,3%.

მოსწავლეთა 54,3% -მა აღნიშნა, თითქოს სკოლა აკმაყოფილებს მათ ინტერესებს, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბავშვებმა გაუაზრებლად შემოხაზეს დადებითი პასუხი. ამ და

მათ მიერვე ანკეტის მეორე კითხვაზე გაცემული პასუხების შედარებისას, ნათლად დავინახავთ წინააღმდეგობრივ აზრს.

მასწავლებელთა ანკეტაში შევიტანეთ საკითხები პედაგოგიკის თეორიიდან და აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკიდან, რათა შეგვემოწმებინა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა, პედაგოგების მხრიდან მათ შორის არსებული ობიექტური კავშირის დანახვა და პრაქტიკაში გათვალისწინება.

რა პრობლემებს აწყდებით სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში საერთოდ და კერძოდ თქვენი საგნის სწავლებისას?

მიღებული პასუხებიდან ვასკვნით, რომ პრობლემას მასწავლებელთა უმრავლესობა ხედავს: 1) "მოსწავლეთა უდისციპლინობაში და სიზარმაცეში." – 80%; "2) სწავლის მოტივაციის უქონლობაში – "მოსწავლეებს არ აქვთ სწავლის მოტივაცია და სურვილი"., "სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობა – იძულებითია"; 3) წიგნების უქონლობაში – "წიგნები ძვირია, მათი შეძენის შესაძლებლობა ყველა მშობელს არა აქვს და თან გაუგებარი ენითაა დაწერილი"; 4) მათემატიკის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ "მათემატიკის შესწავლა მოითხოვს ყოველდღიურ მეცადინეობას, არასისტემატურობა კი ინვესტ ჩავარდნას, რაც წარმოქმნის პრობლემას"; 5) საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებმა უკმაყოფილება გამოთქვეს ტრიმესტრული სწავლების შემოღების გამო " რადგან საათები არასაკმარისია საგნის საფუძვლიანად შესწავლისათვის."; 6) გამოითქვა უკმაყოფილება შეფასების ახალი მეთოდის შემოღების გამო"; 7) სურთ სკოლაში დამკვიდრდეს კაბინეტური სისტემა.

რამოდენიმე პასუხმა ჩვენი განცვიფრება გამოიწვია. სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში ერთადერთი გადაუჭრელი პრობლემა მავანისთვის "კაბინეტის კლასით დაკავება ყოფილა", მეორესთვის კი "სასწავლო პროცესში ნაკლებათაა(სტილი დაცულია) პრობლემა, რადგან ინგლისური პრესტიჟულად ითვლება და აუცილებელ საგანთა პრობლემაა ის, რომ მშობელმა და მოსწავლემ კარგად იციან თავიანთი უფლებები და არა მოვალეობები". სამწუხაროდ, თურმე ასეთი

“განათლებული” და “მჭერმეტყველი” მასწავლებლებიც მუშაობენ ჩვენს სკოლებში! ვფიქრობთ, აქ კომენტარი ზედმეტია.

რა პედაგოგიური კანონებით, პრინციპებით და მეთოდებით ცდილობთ პრობლემის მოგვარებას?

მიღებული პასუხების ანალიზი ცხადყოფს, რომ მასწავლებლებლები პედაგოგიურ კანონებს და პრინციპებს ნაკლებად იცნობენ. დასახელებულ იქნა მხოლოდ შეგნებულობის და დაინტერესების პრინციპი, მეთოდებიდან კი რესპოდენტთა უმრავლესობა ნახალისების, დარიგების, საუბრის მეთოდებს იყენებს. ცოტა გაუგებარი იყო ჩვენთვის ზოგიერთი პედაგოგისაგან მიღებული პასუხი: “ფსიქოლოგიურად, ცოტა მკაცრადაც”; “მივმართავ ფსიქოლოგს”; “ტექნიკური საშუალებების გაუმჯობესებით ვცდილობ ყველა გაკვეთილი დაუკავშირო ცხოვრებისეული მაგალითების განხილვას”.

შეკითხვაზე **რა შედეგებს აღწევთ?** მივიღეთ ძალიან აბსტრაქტული პასუხები: “დამაკმაყოფილებელი”, “დადებითი”, “მინიმალური”, “არც თუ ცუდი”. მოვიტანთ შედარებით კონკრეტული მსჯელობის მაგალითებსაც: “რაც გამოცხადდა ატესტატის მისაღები გამოცდების ნუსხა, გაიზარდა ბავშვების დაინტერესება საგნის მიმართ და შედეგიც გაუმჯობესდა”; “დაბალ კლასებში შედეგი მეტია, მაღალ კლასებში კი ხდება პოლარიზაცია, ვისაც აინტერესებს სწავლა და ჩამოყალიბებული აქვს ურთიერთობები, უფრო ავითარებს თავის უნარებს, ვისაც არა – პირიქით”.

– განსაზღვრეთ თქვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ხუთი სოციალური თვისება, რომელზეც უნდა იყოს მიმართული კლასგარეშე მუშაობა (მიანიჭეთ ხუთი რიგითი ნომერი მნიშვნელობის მიხედვით)

- მოქალაქის აღზრდა
- სინდისიერება
- დამოუკიდებლობა
- პატრიოტიზმი
- კომუნიკაბელურობა
- აქტიურობა
- ზნეობა

-კაცთმოყვარეობა

-პასუხისმგებლობა

-კოლექტივიზმი

-სულიერება

- სხვა -----

მითითებული თვისებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მასწავლებელთათვის პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდა – 81,8%, პროცენტული მაჩვენებლები შემდეგნაირად დალაგდა: "ზნეობა" – 54,5%; "სულიერება" და "კომუნიკაბელურობა" – 45,5%; "პატრიოტიზმი" და "მოქალაქეობრივი აღზრდა" – 40,9% : "სინდისიერება" – 36,4%; "კაცთმოყვარეობა" და "აქტიურობა" – 31, 8%; "დამოუკიდებლობა" – 27,3%; "კოლექტივიზმი" – 1,1%. აქედან შედაგოგების 31,8% პირველი რიგითი ნომერი მიაკუთვნა სულიერების აღზრდას, მოქალაქეობრივს – 27,3%; სინდისიერების – 13,6%. პატრიოტულს – 9,1%.

თქვენი აზრით, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესები უნდა ემთხვეოდეს თუ არა ერთმანეთს? რატომ?

ყველა მასწავლებელმა უპასუხა რომ აუცილებელია ინტერესთა თანხვედრა, რაც „..უზრუნველხყოფს ხარისხიან სწავლას“; "სხვა შემთხვევაში ვერანაირი კონტაქტი ვერ შედგება"; "მასწავლებელი იქნება წარუმატებელი"; "მაშინ ურთიერთობის პრობლემა არ წარმოიქმნება" და სხვა.

ჩვენს შეკითხვაზე ახერხებთ თუ არა თქვენი მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებას?

მხოლოდ ერთმა შედაგოგმა გვიპასუხა "ხანდახან". 27,3% არ გვიპასუხა, დანარჩენების პასუხი იყო დადებითი.

ქვეკითხვაზე თუ ახერხებთ, როგორ? თუ ვერ ახერხებთ, რატომ?

პასუხი ან ძალიან ბუნდოვანი იყო ან ერთმნიშვნელოვანი, მაგ. "ვახერხებ", "ვახერხებ მეტ-ნაკლებად", "ვცდილობ საუბრით მივალწიო შედეგს", "სხვადასხვა მიდგომით", "ვითვალისწინებ", "აღმზრდელმა უნდა მოახდინოს პირობებისა და ინტერესების გათვალისწინება, სხვანაირად არ შეიძლება". იყო რამდენიმე კონკრეტული პასუხიც: "რა ინტერესიც გაუჩრ-

ნდებათ თემასთან დაკავშირებით, ვცდილობ ამოვწურო მათი ინტერესი (ფუთითებ საიტებს, ვუტარებ მინი-ლექციებს); "პირადი საუბრებით ბავშვებთან და მათ მშობლებთან, ერთად გატარებული არასაგაკვეთილო დროის განმავლობაში მიღებული ინფორმაციით".

ჩვენი დაინტერესების შედეგად, თუ **“რამდენად კარგად იცით თქვენი მოსწავლეების ინტერესების შესახებ? შეაფასეთ ათბალიანი შკალით.** მივიღეთ შემდეგი რეზულტატი:

არ უპასუხა მასწავლებელთა 4,5%; მოსწავლეთა ინტერესების ცოდნა 10 ბალით არავინ არ შეაფასა, 9 ბალით – 40%, 8-ით 27,3%, 7-ით 4,5%, 6-ით 9,1%, 5-ით 4,5% დანარჩენებმა კი 1 ქულით.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ:

- 1) მოსწავლეთა ინტერესების სფერო საკმაოდ მრავალმხრივია, მაგრამ ისინი განიცდიან დამრიგებელთან მათთვის საინტერესო თემებზე საუბრის დეფიციტს.
- 2) თითქმის ყველა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ბავშვთა და მასწავლებელთა ინტერესების თანხვედრა სასკოლო პრაქტიკაში აუცილებელია, მაგრამ კვლევიდან ჩანს, რომ მათი ინტერესები არა თუ არ ემთხვევა, არამედ მასწავლებლებმა არც იციან მათ შესახებ და რა თქმა უნდა ვერც დააკმაყოფილებენ მოსწავლეთა სურვილს.
- 3) სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, მსჯელობის უნარი დაკარგული აქვთ არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ მასწავლებლებსაც. უკიდევანო ტესტირებებმა დალი დაასვა მეტყველებას და აზრის ჩამოყალიბების უნარს. ამის დამამტკიცებელი ამონარიდები ჩვენ ზევით მოვიტანეთ და ეს ნამდვილად პედაგოგიური პრობლემაა!

სასკოლო პრაქტიკაში ურთიერთობა **“კლასის დამრიგებელი – მოსწავლე”** გენერალურია, რადგან სწორედ მათზეა დამოკიდებული საგანმანათლებლო და აღმზრდელი პროცესების პროდუქტიულობა.

როგორია კლასის დამრიგებლისა და მოსწავლეთა ურთიერთობა თანამედროვე სკოლის პრაქტიკაში და როგორ ვაქციოთ ეს ურთიერთობა თანამშრომლობის სასურველ ფორმად?

კლასის დამრიგებლის და მოსწავლეთა თანამშრომლობის ასპექტები თანამედროვე სკოლის პრაქტიკაში

განათლების დარგში მიმდინარე რეფორმა საჯარო სკოლის მესვეურებისაგან მოითხოვს ორიენტირად აიღონ ის უახლესი მეთოდური მიდგომები სწავლებისადმი, რომელსაც ამ ბოლო წლების განმავლობაში ნერგავენ საქართველოს განათლების სამინისტროსთან არსებული ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრები.

თანამედროვე ამერიკელი მეცნიერი დევიდ პერკინსი მიგვითითებს, რომ “საჯარო სკოლებს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ – განსხვავებული მისწრაფებების, ნიჭის, აზროვნების, ქცევის, საბაზისო ცოდნისა და შინაგანი სამყაროს ადამიანთათვის სათანადო განათლების მიცემა. სკოლა ისეთივე საოცრებაა, როგორც ნათურა – ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი და ჩვეული ნაწილი, მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით, თავისი დანიშნულებითა და ამოცანებით, საკმაოდ ახალი და ეგზოტიკური”⁴.

სკოლაში ბავშვი განათლებასთან ერთად აღზრდასაც იღებს. ადამიანი სოციალური არსებაა, ამიტომ, სკოლის აღმზრდელობითი ფუნქცია, რომლის მიზანი ემოციურ-ნებელობითი, ფასეულ-მოტივაციური კომპონენტის ფორმირებაა, სწორედ ურთიერთობაში “მოსწავლე-მასწავლებელი” რეალიზდება. აღმზრდელობითი პროცესის ცენტრალური ფიგურა – კლასის დამრიგებელია.

⁴ დევიდ პერკინსი, გონივრული სკოლები, თბ., 2007. გვ. 9-10

კლასის დამრიგებლის მუშაობა – მიზანმიმართული, სისტემური, წინასწარ დაგეგმილი საქმიანობაა, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულების აღზრდის პროგრამას, საზოგადოებრივი ცხოვრების პოზიტიურ და ნეგატიურ ტენდენციებს, სკოლის პედაგოგიური კოლექტივის წინაშე მდგარი აქტუალური ამოცანების გათვალისწინებით პიროვნებაზე ორიენტირებულ მიდგომას და კლასის კოლექტივის ურთიერთობას ეფუძნება.

კლასის დამრიგებელი წარმოადგენს ჯგუფის ფორმალურ და ფაქტობრივ ლიდერს, კულტურის მატარებელს, ბავშვთა შემოქმედებითი საქმიანობის ორგანიზატორს და მონაწილეს, დამრიგებელს, სულისჩამდგმელს, მზრუნველს და თავისი აღსაზრდელების მეგობარს.

კლასის დამრიგებელმა ბავშვებთან ურთიერთობისას უნდა შეიმუშავოს ჰუმანისტური ტიპის აღმზრდელობითი პროგრამა, რომლის მიზანია – თითოეული პიროვნების შემოქმედებითი ინდივიდუალურობის ფორმირება და გახსნა, კლასელებთან ნდობაზე, პატივისცემაზე და ურთიერთდახმარებაზე აგებული ურთიერთობების დამყარება.

პედაგოგი ახდენს კოლექტივში მოსწავლეთა შორის ურთიერთობების ჰუმანიზაციას, ეხმარება ზნეობრივი და სულიერი ორიენტირების ფორმირებაში, ახდენს სოციალურ-ფასეულობითი ურთიერთობების ორგანიზებას, ქმნის ემოციურ კომფორტს, დადებით ფსიქო-პედაგოგიურ პირობებს განვითარებისათვის. უწყობს რა ხელს სხვადასხვა ასაკის ბავშვებს შორის ურთიერთობებს, ამავე დროს კლასის ხელმძღვანელი ზრუნავს სკოლის კოლექტივში კლასის პოზიციასა და ადგილზე.

კლასის აღმზრდელობით სისტემას ახასიათებენ ისეთი მცნებები, როგორცაა “სიკეთე”, “კოლექტივი”, “ნდობა”, “შემოქმედება”, “პატივისცემა” და სხვა. კლასის დამრიგებელი ცდილობს, რომ ეს ფასეულობები კოლექტივის თითოეული წევრის საქმიანობის საფუძველს წარმოადგენდეს და ვლინდებოდეს ურთიერთობასა და დამოკიდებულებაში როგორც კოლექტივის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

კლასის დამრიგებლისა და მოსწავლეთა ურთიერთობის პრინციპები წარმოადგენს დამრიგებლის კლასის კოლექტივთან ურთიერთობის საფუძველს. მათ დაცვაზეა დამოკიდებული აღმზრდებლობითი და საგანმანათლებლო პროცესების პროდუქტულობა, აგრეთვე კლასის ფსიქოლოგიური მიკროკლიმატი.

გამოვეყნეთ კლასის დამრიგებლისა და მოსწავლეთა თანამშრომლობის შემდეგ პრინციპებს:

1. თითოეული მოსწავლის უპირობო მიღება, მისი ძლიერი და სუსტი მხარეებით;
2. კლასის ხელმძღვანელის მიუკერძოებლობა მოსწავლეთა საქციელის შეფასებისას;
3. მოსწავლეებთან ურთიერთობისას დიალოგიურობა და გახსნილობა;
4. ხასიათის, გუნება-განწყობილების მართვის, მიკერძოებული აზრის ზეგავლენის არ აყოლის უნარი;
5. თავისი და სხვისი შეცდომების აღიარების უნარი;
6. მოსწავლეებთან ურთიერთობისას იუმორის, როგორც მუშაობის მეთოდური ხერხის გამოყენება⁵.

კლასის ხელმძღვანელი იწყებს რა მუშაობას ახალ კლასთან, სასურველია ესაუბროს მოსწავლეებს მათთან მომავალი ურთიერთობის პრინციპების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ტრადიციები და წეს-ჩვეულებები და ურთიერთობები ჰქონდათ მის ყოფილ მოსწავლეებს. სასურველია ბავშვებმა უპასუხონ კითხვებს, რომელთა პასუხები კარგ ფსიქოლოგიურ მიკროკლიმატს შექმნიან:

- როგორი უნდა იყოს მეგობრული კლასი?
- რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ კლასი მეგობრული გახდეს?
- რომელი ტრადიციები არსებობს თქვენს კლასში?
- რომელი ღონისძიებები უნდა გახდეს ტრადიციული?

კლასის დამრიგებელმა მოსწავლეებს ქცევის წესები და პროცედურები აქტიური სწავლების მეთოდის გამოყენებით

⁵ Цомкало Л.В. Формирование коллектива класса, Челябинск, 2007.

უნდა ასწავლოს, რომელთაც მოსწავლეები ქცევის აუცილებელ პირობად ანუ ღირსების კოდექსად მიიჩნევენ. ძალიან ნაყოფიერ შედეგს იძლევა ის პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც თვითონ მოსწავლეები არიან ჩართულნი წესების შედგენაში, რადგან მათ უვითარდებათ პასუხისმგებლობისა და საკუთრების შეგრძნება. ისინი უფროსებთან ერთად მსჯელობენ და მონაწილეობენ წესების შედგენაში. წესები არ უნდა იყოს მრავალრიცხოვანი, უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, და ისეთი ტიპის ფორმულირებებს მოიცავდეს, რომლის წყალობითაც მოსწავლეს ეცოდინება, რისი გაკეთების უფლება აქვს და რისი არა.

კლასის დამრიგებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს უკუკავშირი, რომელიც საშუალებას აძლევს პედაგოგს დაინახოს, თუ რა შედეგი მოიტანა მისმა ამა თუ იმ ქმედებამ. მიზანშეწონილია კლასის დამრიგებელმა სემესტრის ბოლოს ჩაატაროს კლასის ანკეტირება, რომელიც საშუალებას მისცემს მას გამოავლინოს მოსწავლეთა აზრი იმის შესახებ, ამ ურთიერთობაში რა გამოვიდა და რა ვერა. სასურველია, ანკეტის ბოლოს მოსწავლეს უფლება ჰქონდეს დაწეროს თავისი სურვილი ან მისცეს შენიშვნა დამრიგებელს. ასეთი ტრადიცია აიძულებს დამრიგებელს იყოს მომთხოვნი საკუთარი თავისა და საქმიანობის მიმართ.

გვანტერესებდა რა ურთიერთობის ასპექტები კლასის დამრიგებელსა და მოსწავლეთა შორის, ჩვენ ჩავატარეთ ანკეტირება თბილისის მე-10 საჯარო სკოლაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 32 მერვეკლასელმა.

1) რომელ საგნებს სწავლობს თქვენი კლასი?

მოსწავლეებმა მოგვანოდეს საგნების შემდეგი ნუსხა: მათემატიკა, ქართული, რუსული, უცხო ენა, ფიზიკა, ისტორია, გეოგრაფია, მუსიკა, ბიოლოგია, ქიმია.

2) ჩამოთვლილი საგნებიდან რომელი საგნების სწავლება მიმდინარეობს თქვენი აზრით საინტერესოდ და რატომ?

ბავშვებმა ზოგ შემთხვევაში 2 და მეტი საგანი დაასახელეს. განსაკუთრებული სიყვარული გამოიხატა ისტორიის

სწავლების მიმართ, რადგან “ვიგებ ჩემი ქვეყნის ისტორიას”, “იმიტომ, რომ მასწავლებელი ძალიან საინტერესოდ ხსნის გაკვეთილს” და ა. შ.

ბავშვთა ინტერესი საგნების მიმართ პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით შემდეგნაირად განლაგდა:

ისტორია- 61,5%

ქართული -23,1 % , უცხო ენა-15,4 %

გეოგრაფია-23,1 % ქიმია-15,4 %

მათემატიკა-23,1 % ფიზიკა 7,7 %

3) რომელი საგნების სწავლება არ გაკმაყოფილებთ და რატომ?

მოსწავლეთა 46,2 % პრეტენზია გამოთქვა რუსული ენის სწავლების მიმართ.

“რუსული, იმიტომ რომ არავის არ უყვარს და ბავშვები ხმაურობენ”; “ცუდად გვასწავლის და ხმაურში არაფერი მესმის”; “გრამატიკას არ გვასწავლის”, “არ არის იმის საშუალება, რომ ცოდნა შეიძინო”.

7,7 % დაასახელა “გეოგრაფია და ბუნება”, იმიტომ რომ მკაცრია ძალიან”.

იმდენივემ აღნიშნა “ქიმიის, იმიტომ რომ უკეთესი მასწავლებლის ყოლაა საჭირო, რომელიც აზრიანად და საინტერესოდ ახსნის გაკვეთილს”.

ერთი მოსწავლე აღმოჩნდა ძალიან ცოდნას მონყურებულის, რომელმაც განაცხადა: “არც ერთი საგნის, რადგან ბევრს არ მოითხოვენ, მე კი მეტი მინდა გავიგო და ვიცოდე”. დანარჩენებს ყველა საგნის სწავლება აკმაყოფილებთ.

4) თქვენი აზრით, როგორია თქვენს კლასში მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთთანამშრომლობა?

რესპოდენტთა უმრავლესობამ მასწავლებელთა და მოსწავლეთა თანამშრომლობა დადებითად შეაფასა – 69, 2%; 15,4 %-უარყოფითად, ნაწილმა აღნიშნა, რომ “კლასში მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს აქვს კარგი დამოკიდებულება, ზოგს კი ნაკლებად კარგი”.

“საერთოდ არ არის ურთიერთთანამშრომლობა, რადგან მოსწავლეები ძალიან აგრესიულები არიან მასწავლებლებისა და ერთმანეთის მიმართ”;

5) კითხვაზე “თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა?”

ანკეტირების ყველა მონაწილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნდა იყოს “კარგი”, “მეგობრული”, “ახლობლური” ურთიერთობა. მოვიტანთ ზოგიერთ პასუხს: “დედაშვილური, მაგრამ ჩვენს კლასში არც ერთ მოსწავლეს და მასწავლებელს არ აქვს ასეთი ურთიერთობა”; “მოსწავლე და მასწავლებელი უნდა უგებდნენ ერთმანეთს და შეცდომისთვის არ უნდა გაილანძლოს მოსწავლე”; “უნდა იყოს კარგი დამოკიდებულება, მაგრამ ძალიან ახლოც არ უნდა იყვნენ და მასწავლებლებმა ბავშვები ერთმანეთისგან არ უნდა გააჩიონ”; “მასწავლებელი მოსწავლისთვის უნდა იყოს ახლობელი, რომელსაც ყველა გულისხნადებს გაუზიარებს”.

6) როგორ ფიქრობთ, სკოლა რომელშიც თქვენ დადიხართ, აკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნებს?

ა) დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ განმარტოთ.

ბ) უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ განმარტოთ.

რესპოდენტთა 69,2 % სკოლის მიმართ ნაყენებული მოთხოვნებით დაკმაყოფილებულია, ხოლო 15,4 % - არა. “დიახ, აკმაყოფილებს, რადგან ვიგებ ბევრ ინფორმაციას, რაც მაინტერესებს”; “დიახ, იმიტომ რომ, სკოლა აწყობს სხვადასხვა სახის კონკურსებს, თამაშებს და სხვა”; “გარკვეულწილად ვარ, უნაკლო არაფერია”; “მიუხედავად რამოდენიმე საკითხისა, რაც გამოსწორებას საჭიროებს, ამ სკოლაში სწავლით მაინც კმაყოფილი ვარ”. “დიახ, იმიტომ კარგი კანონებია შემოსული და ბევრი მოთხოვნაა მასწავლებლის მიმართ”.

“არა, იმიტომ, რომ გაკვეთილებზე ბავშვები მაიმუნობენ და მასწავლებელი დროს კარგავს მათდამი საყვედურებზე”; “არ მაკმაყოფილებს. უფრო მეტი პრეზენტაციები რომ იყოს, მეტს ისწავლიდნენ ბავშვები”; “საშუალოდ ვარ კმაყოფილი.

ბუფეტში სიძვირეა, ბავშვი კი იძულებულია იყიდოს სკოლაში საჭმელი, რადგან გარეთ არ უშვებს დაცვა”.

7) თქვენ რომ კლასის დამრიგებელი იყოთ, რას შეცვლიდით?

ამ კითხვას არ უპასუხა 15,4%, არაფერს არ შეცვლიდა ამდენივე, დისციპლინას შეცვლიდა 23,1%, დანარჩენ რესპოდენტთა პასუხი იყო უშუალო და საინტერესო. “შევცვლიდი დისციპლინას და ვეცდებოდი ყველანაირად უფრო მეგობრული ვყოფილიყავი ბავშვებთან”; “ბავშვებთან უფრო მეგობრული ვიქნებოდი, კლასში ჩავატარებდი სხვადასხვა გამოკითხვას, კონკურსებს”; “ მე რომ დამრიგებელი ვიყო ბავშვებს უფრო თბილად მოვექცეოდი და რალაც რალაცებებში მოვეხმარებოდი”; “ ბავშვებს ვასწავლიდი კულტურას, ზრდილობას, ერთმანეთის სიყვარულს. ამისათვის დავტოვებდი ყოველდღიურად გაკვეთილების შემდეგ 5-5 მოსწავლეს და გავესაუბრებოდი ამ თემებზე”; “რას შეცვლიდი????! რას და ფარდებს, იმიტომ რომ ჭუჭყიანია! კლასში დასატოვებელ ბავშვებს დავტოვებდი, გასაშვებს კი მოვიშორებდი”.

ანკეტირებამ დაგვანახა, მიუხედავად იმისა რომ, მოსწავლეები თითქოს დადებითად აფასებენ კლასის დამრიგებელთან ურთიერთობას, მაინც განიცდიან ამ ურთიერთობის დეფიციტს, რაზედაც მეტყველებს თუნდაც ბოლო კითხვაზე გაცემული პასუხები. მათ აკლიათ მასწავლებელთა სიტბო, მზრუნველობა, კომუნიკაცია და ურთიერთგაგება. თუ დამრიგებელი მოახერხებს მათი გულების დაპყრობას და თანაბრად გადაუნაწილებს სიტბოს და ალერსს, სკოლა ნამდვილად სასურველი დაწესებულება გახდება მოსწავლეთათვის და არ შეიქმნება დისონანსი აღზრდის ჰარმონიაში.

კლასის დამრიგებლისა და მოსწავლეთა თანამშრომლობის განმტკიცების ერთ-ერთ აქტუალურ ფორმად მიგვაჩნია სადამრიგებლო საათი რომლის დროსაც მოსწავლეები მასწავლებლის ხელმძღვანელობით ერთვებიან სპეციალურად ორგანიზებულ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს დამოკიდებულების სისტემის ფორმირებას გარესამყაროსადმი.

**სადამრიგებლო საათი, როგორც კლასგარეშე
აღმზრდელობითი მუშაობის ფორმა და მისი მნიშვნელობა
მოსწავლის პიროვნების ფორმირებაში**

სკოლის აღმზრდელობით საქმიანობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კლასგარეშე მუშაობის ისეთ ფორმას, როგორცაა სადამრიგებლო საათი.

სადამრიგებლო საათი სასწავლო პროცესის აუცილებელ ფორმას წარმოადგენს. საგნის მასწავლებლებთან ერთად დამრიგებელი მოსწავლეებს ეხმარება სკოლასთან, საქმიან გარემოსთან ადაპტაციაში, უყალიბებს ელემენტარულ სასწავლო ჩვევებს, თანაკლასელებთან თანამშრომლობის უნარს, ჯანსაღ ღირებულებებს. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი სადამრიგებლო შეხვედრები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, კვირაში ერთხელ უნდა ხდებოდეს.

ვინაიდან, სადამრიგებლო საათის ჩატარების საკითხი მეტად აქტუალურად მივიჩნით, გადავწყვიტეთ თბილისის რამდენიმე სკოლაში ჩაგვეტარებინა კვლევა მასწავლებლებსა და მოსწავლეთა შორის, რათა გაგვეჩვენოთ ორივე მხარის დამოკიდებულება კლასგარეშე მუშაობის და ურთიერთობის ამ მეტად მნიშვნელოვანი ფორმის მიმართ, მისი ჩატარების ხარისხი.

ანკეტირებამ მოიცვა 74 მოსწავლე და 15 მასწავლებელი.

ჩვენ დავვინტერესდით, **რომელ თემებზე გინევთ ძირითადად საუბარი სადამრიგებლო საათზე?**

გამოკითხულთა 13% დააფიქსირა, რომ მათ არ იცოდნენ რა იყო სადამრიგებლო საათი და რომ ასეთი რამ საერთოდ არ უტარდებათ სკოლაში. უხერხულობის მომენტი რომ გაგვეჩვენოთ რა თემებზე გესაუბრებათ? თითქმის ყველა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ საუბარი უნევთ დისციპლინასა და ყოფაქცევაზე.

“კლასში ვინმეს მიერ ჩადენილ დანაშაულზე”; “დისციპლინაზე და წესრიგზე”; “უფრო ცელქობაზე, მაგიდის, კარა-

დის დამტკვერევაზე და ა.შ”; “ხანდახან ექსკურსიაზე, თორემ სულ ქცევაზე”. ეს შედარებით ვრცელი პასუხებია, ძირითადად კი ლაკონურად გვპასუხობდნენ “დისციპლინაზე და ყოფაქცევაზე”. “ზრდილობაზე და სიკეთეზე”; საყურადღებოა, რომ კერძო სკოლა “იმედის” VIII კლასის დამრიგებელი არ კმაყოფილდება მხოლოდ სწავლასა და ყოფაქცევაზე საუბრით და ცდილობს ჩაუნერგოს ბავშვებს ურთიერთპატივისცემა, ესაუბრება მეგობრობაზე, ზრდილობის ნორმებზე. “დამრიგებელი გვესაუბრება მეგობრობაზე, ზრდილობაზე და წესრიგზე”; “ძირითადად გვესაუბრება მეგობრობაზე, რადგან ჩვენს კლასში მეგობრობა ნაკლებადაა და ამის გამო კლასელებს შორის კონფლიქტი ხდება, რომელშიც ერთმანეთს მშობლები და ბავშვები უპირისპირდებიან, მასწავლებელი კი ცალ-ცალკე ესაუბრებათ და არიგებთ”. ანუ, როგორც ვხედავთ, დამრიგებელი მედიატორის როლს ასრულებს. დასმულ შეკითხვას არ უპასუხა ბავშვთა 5,4%.

ჩვენს შეკითხვაზე “არის თუ არა **სადამრიგებლო საათის ჩატარების აუცილებლობა სკოლაში?**” მივიღეთ შემდეგი პასუხი:

დიახ	78,3%
უფრო კი, ვიდრე არა	9,8%
უფრო არა, ვიდრე კი	3,3%
არა	4,3%
მიჭირს პასუხის გაცემა	1,1%

როგორც ვხედავთ, მათმა დიდმა უმრავლესობამ, 78,3% ჩათვალა, რომ სადამრიგებლო საათი სკოლაში უნდა ჩატარდეს

რა თემაზე ისურვებდი საუბარს მასწავლებელთან და თანატოლებთან სადამრიგებლო საათზე?

“მოსწავლეთა 35,4% სურს ისაუბროს მეგობრობაზე და ურთიერთპატივისცემაზე: “მე ვისურვებდი საუბარს მეგობრობაზე, რადგან არამეგობრული კლასია“; “მეგობრობაზე კლასელებს შორის, რომ არ გადავიდნენ კლასიდან ბავშვები“; “ერთმანეთთან და მასწავლებლებთან კარგი დამოკიდებუ-

ლების შესახებ, რადგან ზოგიერთ მასწავლებელს ახასიათებს ზურგს უკან საუბარი (ჭორაობა), ეს ახასიათებს ბავშვებსაც”; “იმაზე, რომ არ ვიყოთ ერთმანეთის მიმართ აგრესიულები და გვიყვარდეს ერთმანეთი”. მოსწავლეთა ნაწილი უკმაყოფილოა მხოლოდ დისციპლინაზე მსჯელობით, მათ სურთ საუბარი “თინეიჯერულ” თემებზე. “ალბათ თინეიჯერულ თემებზე, რადგან ვთვლი, რომ ამდენი ლაპარაკი დისციპლინაზე მოსაწყენია”; “უფრო მხიარულ თემებზე, ვიდრე ახლა”; “სულ სწავლასა და ყოფაქცევაზეა საუბარი, ჩვენ კი სხვა თემებიც გვინტერესებს.”

ბავშვთა ინტერესის სფერო მეტად მრავალმხრივი აღმოჩნდა. მათ სურთ საუბარი: “ზნეობაზე და ჩაცმულობაზე”; “ბავშვების განცდებზე და სურვილებზე”; “სიყვარულზე და ზრდილობაზე”; “მოგზაურობაზე და სპორტზე”; ძირითადად გართობაზე”; “ჩემი აზრით კლასის საათზე უნდა ისაუბრო ზრდილობაზე და კულტურაზე, ყველაფერზე კარგზე და დადებითზე, რაც ცხოვრებაში გამოგადგება, რათა ადამიანი ჩამოყალიბებული და მოაზროვნე იყოს”; “რა თემაზე და ალბათ იმაზე, თუ რა ხდება დღეს საქართველოში და შაშკინის პირობებზე, იმდენი რალაცეები მოსდის თავში, მტრისას.....”

”ვისურვებდი მასწავლებლისათვის დამესვა შეკითხვები, ღონისძიებები ჩვენს სკოლაში იშვიათად ტარდება, მაგრამ საფუძვლიანად”; “მსურს ვისაუბროთ ხელოვნებაზე”; “მოსწავლეების შემოქმედებითი ნამუშევრების განხილვაზე”; “კულტურული ჩვევების გამომუშავებაზე და გასართობ ღონისძიებებზე”; “ძალიან მინდა ზოგადად ვისაუბროთ ხელივნებაზე, მუსიკაზე, მხატვრობაზე, რადგან მიმაჩნია, რომ ხელოვნება ეხმარება ბავშვს ფსიქიკის გამოსწორებაში და უვითარებს ფანტაზიას”; “საინტერესო თემებზე – მსოფლიო ღირსშესანიშნაობებზე და იდუმალებით მოცულ ამბებზე – ბერმუდის სამკუთხედზე, შავ ხვრელზე და სხვა.”; “მსურს მეტი ღონისძიებები იყოს”, “სპორტზე და ომების დროს მომხდარ ფაქტებზე”.

როგორც ვხედავთ, მოსწავლეები განიცდიან დამრიგებელთან მათთვის საინტერესო თემებზე საუბრის დეფიციტს .

ვინაიდან სადამრიგებლო საათი მიეკუთვნება **კლასგარეშე მუშაობის** მეტად ეფექტურ ფორმას, ბუნებრივია დავინტერესდით მასწავლებელთა მიერ სადამრიგებლო საათზე ჩატარებული ღონისძიებებით.

მასწავლებელთა 21,1%-ისთვის კლასის საათი არის ბავშვებისთვის საინტერესო თემებზე საუბრის დრო. “ვმსჯელობთ სხვადასხვა საკითხებზე, ვგეგმავთ ექსკურსიებს, ვარჩევთ ფილმს ან ტელეგადაცემას”; “ვმართავთ დისკუსიებს მეგობრობაზე, უფროსებთან ურთიერთობაზე, ზნეობაზე”; “გავდივართ ბუნებაში, ვსაუბრობთ მათთვის საინტერესო თემებზე, აღვნიშნავთ დღესასწაულებს”. გამოკითხულთა 65,3% კი კლასის საათზე განიხილავს დისციპლინარულ და მასწავლებლებთან ურთიერთობების დამარეგულირებელ საკითხებს. შეკითხვა უპასუხოდ დატოვა მასწავლებელთა 13,6%.

რა ცვლილებებს შეიტანდით კლასგარეშე მუშაობის არსებულ სისტემაში?

ამ კითხვას არ უპასუხა რესპოდენტთა 50%. გამოკითხულთა 20% არანაირ ცვლილებას არ შეიტანდა, 10%-ს არ უფიქრია ამ საკითხზე, 20%-მა სასურველად ჩათვალა მოსწავლეთა მეტად დატვირთვა “რომ რაც შეიძლება ნაკლები თავისუფალი დრო ჰქონდეთ. უნდა მოვანყოთ ლიტერატურის და პოეზიის საღამოები, რათა შევაცვაროთ ბავშვებს წიგნზე მუშაობა, რაც ასე ძალიან აკლიათ”. მასწავლებელთა იმ 50%-მა, ვინც გვიპასუხა დასმულ შეკითხვაზე, კლასგარეშე მუშაობის ჩატარების აუცილებელ ფაქტორად დაასახელა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და ამ საქმიანობით დაკავებულ მასწავლებელთა დაფინანსება. “საჭიროა სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცება. ეს ხელს შეუწყობს კლასგარეშე მუშაობის ჩატარებას. სკოლა ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ბავშვს უხაროდეს იქ მისვლა”; “ბავშვებს გავაერთიანებდი ინტერესების მიხედვით სხვადასხვა ნრეებში, ჩავატარებდი ღონისძიებებს, მხოლოდ ამას უნდა აფინანსებდეს სახელმწიფო.”; “სკოლა უნდა ფინანსდებოდეს საკმარისად და როცა მასწავლებელი გაკვეთილების შემდეგ

სახლში არ გაიქცევა, კლასგარეშე მუშაობაც თავისთავად დარეგულირდება”.

ჩატარებულმა კვლევამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ სადამრიგებლო საათი სკოლებში არ ტარდება. მასწავლებლები კლასგარეშე მუშაობის ამ ფორმის ჩატარებით არ არიან დაინტერესებულნი, რადგან მასში გასამრჯელოს არ იღებენ. აქედან გამომდინარე, ეს “მუშაობაც” ფორმალურ ხასიათს ატარებს და დაყვანილია ბავშვების დატუქსვისა და დისციპლინარულ-სასწავლო საკითხების განხილვამდე, რაც ბავშვებისათვის უინტერესო და დამლელია.

სადამრიგებლო საათის ჩატარება მოსწავლეთათვის მისაღები და საინტერესო რომ გახდეს, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ მისი სახეები, ტიპები, ფორმები, ეფექტურობის კრიტერიუმები და მოგანოდოთ მისი ჩატარების ნიმუში, რაც პრაქტიკოს პედაგოგებს დაეხმარება ამ კუთხით მუშაობის წარმართვაში.

გამოარჩევენ სადამრიგებლო საათის 2 ძირითად სახეს: თემატურს და კლასში მიმდინარე საქმეების შესახებ საუბრის საათს.

სადამრიგებლო საათი ოთხ ფუნქციას ასრულებს:

1. საგანმანათლებლო – მოსწავლეებს აძლევს საშუალებას გააფართოვონ იმ ცოდნის არეალი, რომელმაც სასკოლო პროგრამაში ვერ ნახა ასახვა. ეს ცოდნა შეიძლება შეიცავდეს თავის თავში ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. განხილვის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოვლენა ან შემთხვევა.
2. საორიენტაციო – ხელს უწყობს გარე სამყაროსადმი დამოკიდებულების ფორმირებას, მატერიალური და სულიერი ფასეულებებისადმი იერარქიის გამომუშავებას. ეხმარება ცხოვრებისეული მოვლენების შეფასებაში.

ეს ორი ფუნქცია მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რადგან არ შეიძლება შეასწავლო მოსწავლეებს შეაფასონ მოვლენები, რომელთაც ისინი არ იცნობენ. თუმცა,

კლასის საათს შეუძლია სუფთა საორიენტაციო ფუნქციის შესრულებაც.

3. მიმართულების მიმცემი – მოწოდებულია ჩასვას მსჯელობა ამა თუ იმ ფაქტის შესახებ მოსწავლეთა რეალური გამოცდილების ჩარჩოებში.
4. მაფორმირებელი – ახდენს მოსწავლეებში თავისი თავის და საკუთარი საქციელის შეფასების, დიალოგის აგებისა და წარმართვის, საკუთარი შეხედულებების დაცვის ჩვევათა ფორმირებას.

სადამრიგებლო საათის ტიპებია:

- **ზნეობრივი სადამრიგებლო საათი**
მიზანი:
 - ✓ მოსწავლეთა განათლება საკუთარი ზნეობრივი შეხედულებების, მსჯელობის და შეფასების გამომუშავების მიზნით;
 - ✓ თაობების მიერ დაგროვილი ზნეობრივი გამოცდილების შესწავლა, გააზრება და ანალიზი;
 - ✓ თანატოლების, კლასელების და საკუთარი ზნეობრივი ქმედების კრიტიკული გააზრება და შეფასება;
 - ✓ პიროვნულ-ზნეობრივი თვისებების განვითარება (სიკეთე, სურვილი დაეხმარო სხვას, საკუთარი შეცდომების აღიარების უნარი, უნარი პატივი სცე სხვის აზრს და დაიცვა საკუთარი შეხედულება და ა.შ.);
- **ინტელექტუალურ – შემეცნებითი სადამრიგებლო საათი**
მიზანი:
 - ✓ მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესის განვითარება;
 - ✓ საკუთარი ინდივიდუალური შესაძლებლობების შემეცნების უნარის განვითარება და სწრაფვა სრულყოფისაკენ.
- **თემატური კლასის საათი**
მიზანი:
 - ✓ განავითაროს მოსწავლეთა მსოფლმხედველობა;

- ✓ ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სულიერ განვითარებას, მათი ინტერესებისა და სულიერი მოთხოვნების ფორმირებას.

- **საინფორმაციო სადამრიგებლო საათი**

მიზანი:

- ✓ მოსწავლეებში თავისი ქვეყნის, ქალაქის, რაიონის საზოგადოებრივ – პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებისადმი თანამონაწილის გრძნობის ფორმირება;
- ✓ ისტორიის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის გამოყენება;
- ✓ მომხდარისადმი საკუთარი დამოკიდებულების ფორმირება;
- ✓ კვლევითი უნარის განვითარება.

სადამრიგებლო საათის ფორმები შემდეგია:

- საუბარი (ესთეტიკური, ზნეობრივი);
- დისპუტი;
- შეხვედრა საინტერესო ადამიანებთან;
- ვიქტორინები ცოდნის სხვადასხვა სფეროებიდან;
- დისკუსიები;
- მხიარულთა და საზრიანთა კლუბები;
- ინტერაქტიული თამაშები;
- თრენინგები;
- თამაშები – მოგზაურობები;
- კონფერენციები და სხვა.

კლასის ხელმძღვანელი ირჩევს სადამრიგებლო საათის ჩატარების შინაარსს და ფორმას ითვალისწინებს რა:

- ❖ მოსწავლეთა ასაკობრივ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს;
- ❖ მიზანს და ამოცანებს, რომელსაც ის სახაავს;
- ❖ მოსწავლეთა ზნეობრივ წარმოდგენებს, ინტერესებს და მოთხოვნებს.

აღმზრდელითი ღონისძიების მომზადების და ჩატარებისას აუცილებელია ორიენტირება მოვახდინოთ მოქმედებების შემდეგ სისტემაზე:

1. განვსაზღვროთ თემა და მოვახდინოთ მიზნის ფორმულირება;
2. შევადგინოთ გეგმა (სცენარი);
3. თემასთან დაკავშირებით შევავროვოთ შესაბამისი მასალა, თვალსაჩინოება, მოვიფიქროთ მუსიკალური გაფორმება და ა.შ.
4. მივცეთ მოსწავლეებს დავალება წინასწარ მოსამზადებლად (თუ ეს გეგმითაა გათვალისწინებული)
5. განვსაზღვროთ კლასის საათის ჩატარებისას სხვა პედაგოგთა და მშობელთა მონაწილეობის მიზანშეწონილობა.⁶

სადამრიგებლო საათის ჩატარებისას გასათვალისწინებელია შემდეგი რჩევები:

- საგნობრივი ინფორმაციიდან – ინფორმაციის შეფასებისაკენ;
- ზოგადი შეფასებებიდან ფართო მსჯელობებისაკენ;
- ყურადღება მოსწავლეთა გამოსვლებისადმი;
- აქცენტის გაკეთება მნიშვნელოვან მომენტებზე;
- ფიქრი ბავშვებთან ერთად;
- პრობლემის გადაჭრის საშუალების ერთობლივი ძიება;
- მოსწავლეთა მიერ მასალის აღქმის ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინება (თუ ყურადღება შენედა – საქმიანობის შეცვლა/მუს პაუზა, ფიზ. ვარჯიში, მწვავე შეკითხვა);
- ბავშვის მონაწილეობა კლასის საათის გეგმის შედგენაში (სემესტრული, წლიური).

⁶ Маленкова Л.И. ПЕДАГОГИ, РОДИТЕЛИ, ДЕТИ (методическое пособие для воспитателей, классных руководителей). М.: изд-во педагогическое общество России, 2000.-с.204-208

სადამრიგებლო საათის ანალიზი:

ის სჭირდება მასწავლებელს აღსაზრდელებთან ინდივიდუალური მუშაობის ამოცანების დადგენისათვის, კლასთან მუშაობის სტრატეგიული მიმართულების ამორჩევისათვის.

შეიძლება გამოვყოთ ანალიზის ორი მხარე;

პირველი მხარე – მასწავლებლის და მოსწავლეთა ერთობლივი ანალიზია (რეფლექსია).

მასწავლებლის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს განზრახულის და შედეგის შეპირისპირებაში. ამასთან, მნიშვნელოვანია არა კონსტატაცია, არამედ საქმიანობის ანალიზი, თითოეულის წვლილის შეფასება, ერთობლივ საქმიანობაში დადებითი მომენტების წარმოჩენა.

მეორე მხარე – პედაგოგიური ანალიზია, სადაც მასწავლებელი გეგმავს რა ღონისძიების ჩატარებას, ვალდებულია პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვებს:

– რატომ, რისთვის? (მოთხოვნილებები, თავისებურებები, ინტერესები).

– რა? (მიზანი)

– როგორ? (მუშაობის ფორმები და მეთოდები, მოსწავლეთა აქტივობა, ჩართულობა, ინტერესი, ემოციური მდგომარეობა, წარმატება, სირთულე და ა.შ.).

– რა გვაქვს აქედან? (შედეგი, მუშაობის გაგრძელება).

მნიშვნელოვანია განისაზღვროს სადამრიგებლო საათის **ეფექტურობის კრიტერიუმები:**

- ❖ პიროვნულად მოსწავლისათვის მისი მნიშვნელობა (ანუ, “რაც გულით გინდა – ყველაფერს გააკეთებ”);
- ❖ კომფორტულობა, ხელსაყრელი ფსიქოლოგიური კლიმატი (ყველა მოსწავლე კარგად უნდა გრძნობდეს თავს);
- ❖ მოსწავლეთა ინდივიდუალური შემოქმედებითი უნარების წარმოჩენის და განვითარების შესაძლებლობა. (მ.დოროშევიჩის ფრთიან ფრაზას თუ დავესასხებით: “ბავშვები – ცხოვრების ყვავილებია. არ შეიძლება

მოვითხოვოთ, რომ ყველა ყვავილი ერთნაირ სურნალს გამოსცემდეს”).

სასურველია, მასწავლებელმა თავის პრაქტიკულ საქმიანობაში გაითვალისწინოს სადამრიგებლო საათის ზემოთ მოტანილი თავისებურებები, ტიპები, ფორმები, ეფექტურობის კრიტერიუმები და კლასგარეშე მუშაობის ეს მეტად საჭირო და ეფექტური ფორმა მოსწავლეთათვის საინტერესო გახადოს. გამომდინარე იქიდან, რომ მშვიდობის თემა ჩვენს დაძაბულ და ნაკლებად მშვიდობიან დროში მეტად აქტუალურია, გთავაზობთ სადამრიგებლო საათის ჩატარების ნიმუშს თემაზე **“მშვიდობა”**.⁷

შეხვედრის მიზანი

შეხვედრის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ:

- განმარტონ მშვიდობის ცნება;
- დაახასიათონ, თუ რატომ არის აუცილებელი მშვიდობისათვის დიდი ძალისხმევა საჭირო;
- განსაზღვრონ თავიანთი როლი მშვიდობის მშენებლობაში.

უნარ-ჩვევები:

- განივითარონ ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები;
- განივითარონ დისკუსიის, მსჯელობის და ერთობლივი გადაწყვეტილებების უნარ-ჩვევები;
- შეძლონ მშვიდობის ენაზე საუბარი.

მეთოდები:

- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა;
- დისკუსია.

საჭირო მასალა:

- წებო, ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი სურათები სხვადასხვა თემატიკით;
- საპრეზენტაციო ფურცლები;

⁷ კოპალიანი ბ. მასწავლებლის სამაგიდო წიგნი.–თბილისი, “უნივერსალი”, 20010, გვ.78-80.

- ფერადი მარკერები;
- პატარა მყარი მუყაოს ფურცლები.

მსვლელობა:

სავარჯიშო 1

1 ეტაპი – ინდივიდუალური მუშაობა

დაურიგეთ მოსწავლეებს სანერი ფურცლები და სთხოვეთ ჩამონერონ ყველა სიტყვა, რომელიც მშვიდობასთან ასოცირდება.

2 – ეტაპი ჯგუფური მუშაობა

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა ინდივიდუალურად ჩამონერეს მშვიდობასთან ასოცირებული სიტყვები, უკვე ჯგუფებში უნდა იმსჯელონ ერთმანეთის ნამუშევარზე. ისინი ერთმანეთს უხსნიან, თუ რასთან ასოცირდება მათ მიერ ჩამოთვლილ თითოეულ სიტყვაში მშვიდობა. შემდეგ ჯგუფები ათანხმებენ ჩამონათვალს, გადააქვთ იგი დიდ ფურცელზე და ყოველი ჯგუფი ახდენს პრეზენტაციას. კარგი იქნება თუ თითოეული ჯგუფი ჩამონათვალთან ერთად პატარა მუყაოს ქაღალდზე დახატავს მშვიდობის ლოგოს და ახსნის მის შინაარსს.

3 – ეტაპი ჯგუფების პრეზენტაციები

ყველა საპრეზენტაციო ფურცელი გაკვეთილის ბოლომდე რჩება კედელზე. პრეზენტაციის შემდეგ შეგიძლიათ გამოიყენოთ გალერეას მეთოდი, რომლის დროსაც მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება უფრო ახლოს გაეცნონ თითოეული ჯგუფის მიერ შესრულებულ ლოგოს მშვიდობის თემაზე.

სავარჯიშოს ბოლოს გააკეთეთ უკუკავშირი და აუხსენით მოსწავლეებს, რომ მშვიდობა არის პროცესი, მრავალმხრივი და დაუსრულებელი ბრძოლა ძალადობის წინააღმდეგ. მყარი მშვიდობა შედარებით იშვიათი მოვლენაა. მშვიდობას ხშირად აღარებენ ჯანმრთელობას – მას ამჩნევენ და აფასებენ მაშინ, როცა მას კარგავენ.

ჯანმრთელობის მსგავსად ის ყველასათვის ხელმისაწვდომია, ოღონდ ჯანმრთელობისაგან განსხვავებით, მასზე გაუთავებლად კამათობენ. ზოგი ფიქრობს, რომ მშვიდობა

ომის არარსებობაა, ზოგი კი ფიქრობს, რომ იგი პირველი ნაბიჯია იდეალისაკენ მიმავალ გზაზე.

(გამოავლინეთ საუკეთესო ლოგო და შესთავაზეთ კლასს, სამომავლოდ ხომ არ იქნება მისაღები, რომ ის კლასის ლოგოდ იქცეს? მიღებული პასუხების შემდეგ გადანყვეტილებას იღებთ ერთობლივად.).

სავარჯიშო 2

1 ეტაპი – ჯგუფებში მუშაობა

ჯგუფებს ურიგდებათ წინასწარ ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი სურათები, თითო ჯგუფს ერთი სურათი. სურათები შერჩეული უნდა იყოს დაახლოებით შემდეგი შინაარსის: პირველი – მიმდინარეობს გაეროს სხდომა. მეორე – ოჯახური სცენა, მესამე – თემის საქმიანობა, მეოთხე – მეგობრები, მეხუთე – სამუშაო შეხვედრა და ა. შ. (სურათების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ჯგუფი მუშაობს კლასში). ჯგუფებს სთხოვეთ პოზიტიური კუთხით სურათები თვითონ დაასათაურონ და ამ სათაურებიდან გამომდინარე წარმოადგინონ პატარა ისტორიები, სადაც გამოხატული იქნება ადამიანების კეთილი ნება, მშვიდობიანი თანაარსებობა, ურთიერთპატივისცემა, გვაჩვენონ ის, რომ სურათზე აღბეჭდილ ადამიანებს უყვართ ერთმანეთი.

2 ეტაპი – ჯგუფების პრეზენტაციები

პრეზენტაციების დამთავრების შემდეგ გააკეთეთ უკუკავშირი შემდეგ კი დასვით ასეთი შეკითხვა:

შეიძლება თუ არა წარმოდგენილი მშვიდობიანი ისტორიები გადაიზარდოს კონფლიქტურ სიტუაციაში, ანუ რა ერთი ფრაზა შეიძლება ითქვას ისეთი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი?

მიღებული პასუხების შემდეგ მიეცით მოსწავლეებს დრო დააფიქსირონ თავიანთი აზრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სავარჯიშო 3 როლური თამაში

“მშვიდობის ენაზე საუბარი” კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვა.

ინსტრუქცია კლასის დამრიგებლისათვის

მასწავლებელი განუმარტავს ბავშვებს, რომ ერთსა და იმავე დაძაბულ სიტუაციაში, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ ფრაზას. ის შეიძლება ისე იყოს ნათქვამი, რომ გამოინვიოს უარყოფითი განწყობა და შეიძლება სერიოზული კონფლიქტი მოჰყვეს.

კეთილი განწყობით ნათქვამმა ფრაზამ კი შეიძლება დაძაბული სიტუაცია სრულიად განმუხტოს და თავიდან აცილებულ იქნეს კონფლიქტი.

მასწავლებელი კლასს აძლევს 2 სიტუაციას და სთხოვს, დაამთავრონ პასუხები ისე, რომ პირველ სიტუაციას მოჰყვეს კონფლიქტი და მეორე სიტუაციაში კი ერთი მშვიდობიანი ფრაზით განიმუხტოს დაძაბულობა.

სიტუაცია 1

მარინე და ნანა ერთ პროექტზე მუშაობენ. პროექტის მიტანა ხვალისთვის ჰქონდათ გადაწყვეტილი, მაგრამ ნანას დაავინყდა საგაზეთო ამონაჭრების მოტანა, რომლებიც პროექტში უნდა შესულიყო. პროექტის ჩაბარება დაგვიანდა და ეს ორივეს ნამუშევრის შეფასებაზე აისახება.

მარინემ უთხრა:.....

სიტუაცია 2

ლაშა და ჯემალი თანამშრომლები არიან. სასადილოში ერთად სადილობენ ხოლმე, მაგრამ ჯემალს სისტემატიურად რჩება საფულე მანქანაში და ლაშა იძულებულია, მისი დანახარჯიც გადაიხადოს ხოლმე. ლაშას უკვე ეჭვი ეპარება, რომ ჯემალი განგებ ტოვებს ხოლმე საფულეს, რომ არ გადაიხადოს.

ჯემალს დღესაც საფულე მანქანაში დარჩა და ლაშამ უთხრა:.....

სავარჯიშოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი აკეთებს უკუკავშირს და უხსნის მოსწავლეებს, რომ მშვიდობის ენაზე საუბარი ყოველთვის მომგებიანია. ერთი, სწორად ნათ-

ქვამი, გააზრებული ფრაზით, შესაძლებელია სერიოზული კონფლიქტის თავიდან აცილება.

შეიძლება მოსწავლეებმაც გაიხსენონ ისეთი სიტუაციები თავისი ცხოვრებიდან როდესაც მათ დროულად თქვეს ასეთი ფრაზა, ან შეეძლოთ ეთქვათ, მაგრამ ამაზე არ უფიქრიათ.

როგორც ვხედავთ, სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და სოციალურ განვითარებას.

შეხვედრებზე ხდება მოსწავლეთათვის მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხების განხილვა, სწავლის თუ ურთიერთობისას წამოჭრილი სირთულეების გაცნობა, გადაჭრის გზებზე ზრუნვა. ასევე, დამრიგებელი ასწავლის მოსწავლეებს ამგვარ შეხვედრებზე მოქცევის წესებს, რომ არ შეიძლება შეხვედრებზე ვინმეს განსჯა, რომ საუბრისას განიხილება ჩადენილი საქციელი, შემთხვევა და არა პიროვნება. თავდაპირველად დამრიგებელს დიდი ძალისხმევა სჭირდება პროცესის სამართავად და ფასილიტატორის როლის შესასრულებლად, სანამ მოსწავლეები არ გაითავისებენ ამგვარ შეხვედრებზე ქცევის წესებსა და მიმდინარეობის თავისებურებებს. სადამრიგებლო საათი აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს, რაც წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებელ-დამრიგებელს შორის პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს.

სადამრიგებლო საათზე მოსწავლეებს შეუძლიათ გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები, ახსნან მოქმედებები, აღიარონ შეცდომები ისე, რომ არ განაწყენდნენ. მასწავლებელი, რომელიც პოზიტიურად იყენებს სადამრიგებლო შეხვედრებს, მჭიდროდ თანამშრომლობს თავის მოსწავლეებთან და იმსახურებს მათ ნდობას. ეს კი საშუალებას აძლევს მას, კარგად იცნობდეს თავის მოსწავლეებს, გაითვალისწინოს მათი ინდივიდუალური თავისებურებები და საჭიროებანი.

პირველ თავში ჩვენ განვიხილეთ შიდასაკოლო ურთიერთობები, კერძოდ კი ურთიერთობა “მასწავლებელი ↔ მოსწავლე”. მოსწავლის პიროვნების მრავალმხრივ-ჰარმონიული განვითარების კონცეპცია გულისხმობს აღზრდისადმი კომპლექსურ მიდგომას – სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ერ-

თობლივ მიზანსწრაფულ ძალისხმევას გენერალური მიზნის მისაღწევად. სრულიად განსაკუთრებულია ოჯახის როლი ბავშვის აღზრდა-განვითარების საქმეში. დიდი ილია მას მართებულად “ყმანვილთა აღზრდის პირველ ძირს” უწოდებდა, “.....საცა ნორჩი სული ბავშვისა პირველად იღვიძებს და მერე ზრდაში შედის ..., ბავშვის ნორჩი სული და გული მეტად მგძნობიარეა და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა და ის წრე, საცა ბავშვი და მოზარდი სულს იბრუნებს, მას თავის ბეჭედს ზედ დაასვამს ხოლმე”.⁸

კლასის დამრიგებელმა უნდა მოახდინოს ამ მიკრო სოციალური ინსტიტუტების პედაგოგიურ ძალთა კოორდინირება კონკრეტული პედაგოგიური ამოცანების გადასაწყვეტად. ვინაიდან მოსწავლე წარმოადგენს შემაერთებელ და დამაკავშირებელ რგოლს ამ აღმზრდელობით ინსტიტუტებს შორის, ბუნებრივია, ჩვენ დავვინტერესდით ოჯახისა და სკოლის ურთიერთობის პრობლემატიკით, რასაც განვიხილავთ მომდევნო თავში.

⁸ ფანოზიშვილი ნ. ი. ჭავჭავაძე – მშობლებს. კრებულიდან: ქართველი კლასიკოსები ბავშვთა აღზრდის შესახებ. – თბ, 1973, გვ.12.

თავი II. სკოლა-სოციალური ორბანიზაციული ურთიერთობების ცენტრი

ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის შინაარსი და ახალი მიდგომები მათ ურთიერთობაში

ოჯახისა და სკოლის ახალ ფილოსოფიას საფუძვლად უდევს იდეა იმის შესახებ, რომ პასუხისმგებლობა ბავშვების აღზრდაში ეკისრება ორივე სააღმზრდელო ინსტიტუტს თანაბარი ოდენობით.

ოჯახი აღზრდის მიკროსოციუმის ნაწილს წარმოადგენს. სკოლას ოჯახთან მიმართებაში აქვს ორი ძირითადი ამოცანა – აამაღლოს ოჯახის აღმზრდელობითი პოტენციალი და ჩართოს ის სკოლის აღმზრდელობით სისტემაში. ამ ამოცანების გადამწყვეტისას დაბრკოლება მდგომარეობს იმაში, რომ ოჯახები განსხვავდებიან ინტელექტუალური დონით, რაც მოითხოვს დიფერენცირებულ მიდგომას მათთან მუშაობისას.

თანამედროვე სკოლის ვალია შეუნარჩუნოს თითოეულ მოზარდს თავისი ინდივიდუალური უნიკალობა, განუმეორებელი ხიბლი და არ ეცადოს მათ ურთიერთდამსგავსებას თავისი საქმის გაიოლების მიზნით. ეს ყველაფერი კი მაშინ მოხერხდება, თუ აღზრდას სწორი მიმართულებით წარვმართავთ.

სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობის პრობლემატიკა პედაგოგიურ თეორიაში საკმაოდ ღრმად შესწავლილია.

ოჯახური აღზრდის საკითხებზე ქართველი სწავლულების ნაშრომების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ოჯახური აღზრდისას მოქმედებს სხვადასხვა გარეგანი და შინაგანი ფაქტორები. მაგალითად, ვ. გაგუა ნაშრომში “ოჯახი და სკოლა” (1983), კ. რამიშვილი ნაშრომში “როდესაც მერხთან მშობლები ზიან” (1987), გამოყოფენ შემდეგ შინაგან ფაქტორებს, რომლებიც დადებით ან უარყოფით გავლენას ახდენენ ოჯახურ აღზრდაზე:

- ოჯახის საცხოვრებელი და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები;

- ოჯახის სტრუქტურა და მისი რაოდენობრივი შემადგენლობა;
- ორივე მშობელი ოჯახში (მამა, დედა);
- მშობლების ურთიერთობა ბავშვებთან;
- მშობლების მიერ დედობრივი და მამობრივი ფუნქციების შესრულება;
- ოჯახის სულიერი ერთიანობა;
- ოჯახის მორალური ერთიანობა;
- ოჯახის შრომითი ხასიათი;
- ოჯახის ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი;
- მშობლების პედაგოგიური კულტურის დონე.

ავტორები თვლიან, რომ მოზარდების ორიენტაცია მშობლების ქცევასა და თავიანთი მოქმედების პირველსახეზე, ერთდროულად არის ოჯახის აღმზრდელობითი პოტენციალის რეალიზება, ამიტომ პრინციპულად მნიშვნელოვანია უფროსების ქცევა-აზროვნება როგორც ოჯახში, ისევე მის გარეთ.

შ. ამონაშვილმა ჩამოაყალიბა ბავშვისადმი პიროვნულ-ჰუმანური მიდგომის იდეა, რომელიც 6 პრინციპისაგან შედგება:

1. ბავშვი შეიმეცნებდეს და ითვისებდეს ჭეშმარიტად ადამიანურს, სამართლიანს;
2. შეიმეცნებდეს თავს, როგორც ადამიანს;
3. ავლენდეს თავის ჭეშმარიტ ინდივიდუალობას;
4. პოულობდეს საზოგადოებრივ სივრცეს თავისი თავის განვითარებისათვის;
5. მისი ინტერესები ემთხვეოდეს ზოგადადადამიანურ ინტერესებს;
6. თავიდან ააცილოს ბავშვს ის მოვლენები, რომელთაც შეუძლიათ ასოციალურ გამოვლენათა პროვოცირება.⁹

ყოველივე ეს ხერხდება ისეთ სკოლაში, სადაც დასადგურებულია კოლექციალობა, კეთილგანწყობა, ურთიერთპატი-

⁹ ამონაშვილი შ. «ფიქრები ჰუმანურ პედაგოგიკაზე». – მოსკოვი, 1996. გვ 9.

ვისცემა, სადაც მოსწავლესა და მასწავლებელს შორის არის ურთიერთგაგება, ურთიერთნდობა.

კლასის ხელმძღვანელს, რომელიც სწავლობს მოზარდის ცხოვრების და აღზრდის სპეციფიკას ოჯახში, უხდება კორექტირების შეტანა ოჯახურ აღზრდაში, ურთიერთობებში: “ბავშვი – სკოლა”, “ბავშვები – მშობლები”.

ლ. მალენკოვა ამ საკითხში გამოყოფს 2 ასპექტს:

1. აღზრდის კორექტირება ცალკეულ ოჯახებში;
2. კლასის დამრიგებლის მუშაობა კეთილდღეობას მოკლებულ ოჯახებთან.

მ.რუბცოვა ნაშრომში “მოზარდების ჰუმანური თვისებების აღზრდა ოჯახში (1979წ) წერს:

“აღზრდის დეფექტი – ეს არის არასაიმედო ოჯახი. არც მეტერიალური, არც საყოფაცხოვრებო, არც პრესტიჟული მაჩვენებლები არ განსაზღვრავენ ოჯახის კეთილდღეობას და არასასურველობას, ამას მხოლოდ მოზარდთან დამოკიდებულება განსაზღვრავს”.¹⁰

ეს დასკვნა ფიგურირებს ნ. ბასილაძის, შ. კუჭუხიძის, ა. გობრონიძის ნაშრომებშიც.

შ. კუჭუხიძე თავის ნაშრომში “პედაგოგიკა და ფსიქოლოგია მოსწავლეთა მშობლების სამსახურში (1981წ) ხაზს უსვამს, რომ პედაგოგიურად მიშვებულ ოჯახებთან მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს დიფერენცირებულად. ოჯახის თავისებურებების გათვალისწინებით აუცილებელია მშობლების პედაგოგიური განათლება, მოზარდების მშობლებთან ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები.

მ. გიგიტაშვილის მოსაზრებით საქართველოს სკოლებში სოციალური სამსახურების შექმნა და მათ საქმიანობაში საუკეთესო პედაგოგებისა და მეთოდისტების, ფსიქოლოგებისა და ექიმების ჩართვა საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაფართოვოთ სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობის არეალი: კომპლექსურად გადავწყვიტოთ ყველა პროფილაქტიკური

¹⁰ М. Рубцова Воспитание гуманных качеств подростков в семье.- М.: Просвещение, 1979, с.28

და სარეაბილიტაციო ღონისძიებები; განვახორციელოთ დიაგნოსტიკური მიდგომა ბავშვთა ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური და სამედიცინო-სოციალური დახასიათების შესწავლისას; თითოეულ ბავშვს მივუდგეთ ოპტიმისტური ჰიპოთეზით, მის ქცევასა და ხასიათში – დადებითზე ორიენტაციით; ფართოდ და ხშირად გამოვიყენოთ სტიმულირების მეთოდები სწავლის პერიოდში კონტექსტში “ოჯახი – სკოლა”. მთავარი მომენტი პედაგოგებისა და მშობლების პირადი ურთიერთქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვების სიხარულთან და პრობლემებთან, წარმატებებთან და წარუმატებლობასთან. პედაგოგი მშობლებთან ურთიერთობისას უნდა ხელმძღვანელობდეს პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მეცნიერული დასკვნებით:

- ოჯახის გავლენა ბავშვზე ყველა სხვა აღმზრდელობით ღონისძიებებზე უფრო ძლიერია, ასაკის მატებასთან ერთად მისი გავლენა სუსტდება, მაგრამ სრულიად არასოდეს ქრება;
- ოჯახში ყალიბდება ის თვისებები, რომელთა ჩამოყალიბებაც ოჯახის გარდა არსად არ შეიძლება მოხდეს.
- ოჯახი აყალიბებს სოციალურ პიროვნებას, იგი წარმოადგენს პიროვნების ფიზიკურ, მორალურ და აღზრდის მაკონტროლებელ გამოსატყულებას.

ყოველმა მშობელმა უნდა იცოდეს რა განავითაროს თავის ბავშვში. სწორედ ამით განისაზღვრება შეგნებულ საოჯახო აღზრდის ხასიათი.

სკოლა და ოჯახი საფუძვლიანად უნდა გაერთიანდნენ ბავშვთა განვითარების საკითხში – როგორ და რაში ვლინდება ხანდახან მათი გადახრები (დევიაციები) აღზრდის პროცესში?

სპეციალისტების აზრით დევიაციები ვლინდება შემდეგი სახით:

- ჩამორჩენილობა სკოლაში;
- სწავლისადმი ინტერესის უქონლობა;
- არადისციპლინურობა;

- კონფლიქტურობა;
- პიროვნების უარყოფითი თვისებები (მატყუარობა, თავხედობა, ეგოიზმი და სხვა);
- ჰიპერაქტიურობა (პასიურობა);
- უფლებების დარღვევა.

გამოკვლევებიდან ცნობილია, რომ პრობლემები განვითარებაში წარმოიშვებიან ფაქტორთა სამი ჯგუფის ზეგავლენით:

- ბიოგენური (არასასურველი მემკვიდრეობითობა)
- ფსიქოგენური (შეუსაბამობა ფიზიოლოგიურ ზრდასა და ფსიქიკურ მომწიფებას შორის; მოთხოვნილებათა განვითარების დონესა და მათი დაკმაყოფილების რეალურ შესაძლებლობას შორის; შეძენილ ცოდნასა და ასაკობრივ თავისებურებებს შორის).
- სოციოგენური (ოჯახის ეკონომიური გაჭირვება, მშობელთა ქცევის უარყოფითი მაგალითი, ოჯახში ავტორიტარული აღზრდა და სხვ).¹¹

დღესდღეობით მიმდინარეობს სკოლის და ოჯახის ურთიერთქმედების მექანიზმების ძიება ბავშვის პიროვნების სოციალიზაციის პროცესში უკანასკნელის როლის გაძლიერების მიზნით. ამასთან, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე ოჯახზე ზემოქმედების მიზანმიმართულ ღონისძიებებს, რაც ურთიერთობის სრულ გაჯანსაღებას და კონფლიქტური სიტუაციის აცილებას უწყობს ხელს.

საქმე ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას – ჩვენი შემცვლელი თაობის, ჩვენი იმედისა და სასოების აღზრდას და ამისათვის ყველა მშობლის მომზადებას. სწორედ აქ უნდა თქვას თავისი სიტყვა საზოგადოებრივად აქტიურმა სკოლამ, რომელიც ორიენტირებულია

¹¹ გიგიტაშვილი მ. ოჯახისა და სკოლის ერთობლივი მუშაობა აღზრდის ახალი პრინციპების განხორციელების საქმეში. –დის.ავტ. -თბ. 2005 გვ.42,44.

პრინციპზე, რომ სკოლა არის არა მხოლოდ საგანმანათლებლო რესურს ცენტრი.

არსებობს აქტიური სკოლის რამდენიმე სხვადასხვა მოდელები. მაგალითად მოვიყვანო საქართველოში აპრობირებულ კრასნოიარსკის მხარის ცენტრ “თანამშრომლობა“-ში შემუშავებულ მოდელს, რომელიც ჩვენი ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე ყველაზე მისაღები აღმოჩნდა საქართველოსათვის. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკოლის დემოკრატიზაციას, რაც გამოიხატება შემდეგში:

- სკოლის ცხოვრებაში დემოკრატიული პრინციპების ჩამოყალიბება (სკოლის მმართველობაში, გაკვეთილებზე, მშობლებთან);
- სკოლის სასწავლო პროცესში დემოკრატიული პრინციპების ჩამოყალიბება (ინტერაქტიული მეთოდები, დებატები, დისკუსიები, კრიტიკული აზროვნება და სხვა.);
- სამოქალაქო განათლება და ახალგაზრდების ინიციატივის განვითარება;
- გადწყვეტილების მიღების პროცესში მასწავლებელი- მოსწავლის თანამონაწილეობა;
- შეხედულებების, იდეების თავისუფლად გამოხატვა.
- სკოლის თანამშრომლობა საზოგადოების წარმომადგენლებთან;
- სკოლა თანამშრომლობს სახელმწიფო სტრუქტურებთან, მენარმეებთან, თემში მოქმედ საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მოქალაქეებთან.
- სკოლისა და თემის მოქალაქეები თანამშრომლობენ სკოლის პრობლემური საკითხების მოგვარების გზებზე.

- მშობელთა ან მზრუნველთა საბჭოები, სკოლა მშობელთათვის საინტერესო საკითხებზე ატარებს კონსულტაციებს, შეხვედრებს.¹²

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დღეს, როგორც არასდროს, აღმზრდელობითი პროცესისათვის მეტად აქტუალური და მთავარი ეფექტური პირობაა მოსწავლეების გარემომცველი ყველა სოციალური ინსტიტუტების და აღზრდის გზების საყოველთაო ინტეგრაცია.

უპირველესად საჭიროა თემის მოზიდვა და ერთობლივი ზრუნვა პრობლემების გადაწყვეტაზე:

- ❖ სკოლის და თემის ინტელექტუალური, ფიზიკური, ფინანსური და ადამიანური რესურსების მობილიზება თემის პრობლემების მოგვარებისათვის;
- ❖ სკოლა, როგორც თემის პრობლემების მოგვარების ინიციატორი;
- ❖ სკოლა, როგორც თემის რესურს ცენტრი, სოციალურ დახმარებას სთავაზობს თემს;
- ❖ სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.

ბოლო წლებში ბავშვთა და მოზარდთა აღზრდის სოციალურმა ინსტიტუტებმა დაკარგეს ან მნიშვნელოვნად შეასუსტეს თავიანთი აღმზრდელობითი ფუნქციები.

სხვადასხვა ნეგატიური სოციალური მოვლენა არა მხოლოდ ამცირებს ოჯახისა და სკოლის აღმზრდელობით შესაძლებლობებს, არამედ ანგრევს ოჯახს, ოჯახურ-სასკოლო კავშირებს და ურთიერთობებს. ჩვენი აზრით, ამ პირობებში ოჯახის და განსაკუთრებით სკოლის როლი ბავშვების აღზრდაში კი არ ეცემა, არამედ მკვეთრად იზრდება. აქ უნდა დავეყრდნოთ სოციალური პედაგოგიკის მეთოდოლოგიურ დებულებებს იმის შესახებ, რომ ოჯახი ასრულებს ბავშვის

¹² მაცნე_ “საზოგადოებრივი განათლება – საზოგადოებრივად აქტიური სკოლა”-www.keef.krsk.infotel.ru 2002

პიროვნების პირველად სოციალიზაციას თავისი ფუნქციების ინტენსიფიკაციით. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის, რომ აღმზრდელიობითი ფუნქციის ხელსაყრელი პირობების მქონე ოჯახები მნიშვნელოვნად უსწრებენ წინ ყველა სოციალურ ინსტიტუტს ბავშვის მომზადებით პრაქტიკული ცხოვრებისათვის, მორალურ-ემოციური, შრომითი, სულიერი განვითარებით.

პრინციპულად მნიშვნელოვანია კლასის ხელმძღვანელის პოზიცია, რომელსაც ის იკავებს მიშვებული მოზარდის მშობლებთან კონტაქტისას. ის უნდა გახდეს მშობლის მოკავშირე სიძნელების გადალახვაში და არა ბრალმდებელი. ამასთანავე მშობლისა და კლასის ხელმძღვანელის ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს არა მოსწავლის საწინააღმდეგოდ, არამედ იმ სიძნელების წინააღმდეგ, რომლებიც წამოიჭრება მათი განვითარების პროცესში, ამიტომ მასწავლებლისა და მოსწავლის ყოველი შეხვედრა მოიცავს 5 ელემენტს:

1. რა შემიძლია ვთქვა მოსწავლის შესახებ კარგი; (მშობლების ფსიქოლოგიურად კარგად განწყობის მიზნით, რათა ის გახდეს პედაგოგის “მოკავშირე”).
2. რა მანუხებს მასში? (ის მიზეზი, რომლის გამოც მშობელი გამოძახებული იქნა სკოლაში);
3. რა არის უარყოფითი ფაქტების მიზეზი? (ამას მივყავართ გულახდილობამდე, შესაძლებელი ხდება ჭეშმარიტი მიზეზების დადგენა).
4. რა ზომები უნდა იქნას მიღებული მშობლებისა და სკოლის მხრიდან;
5. დასახული ღონისძიებების ეფექტურობისათვის რა მოთხოვნების, პრინციპების დაცვაა საჭირო მოზარდთან ურთიერთობისას.

ასეთ სიტუაციაში მშობლები იკავებენ მასწავლებლის მხარეს. სწორედ ამაში მდგომარეობს მკაფიო მაგალითი სკოლისა და ოჯახის ურთიერთობისა, მისი თანამშრომლობისა ბავშვების აღზრდის საქმეში.

საზოგადოება, სკოლა დაინტერესებულია იმით, რომ ოჯახმა მიიღოს აქტიური მონაწილეობა მოზარდების მომზა-

დებამი იმ სოციალური როლის შესასრულებლად, რაც მომავალში ელით დღევანდელ აღსაზრდელებს.

მშობლების პედაგოგიური კულტურის ასამაღლებლად საჭიროდ მიგვაჩნია განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნას ტრენინგის პროგრამა, რადგან მშობლებს არ შეუძლიათ სწორად წარმართონ მუშაობა, რომელიც გულისხმობს სკოლისა და ოჯახის ერთობლივ მონაწილეობას ბავშვების აღზრდაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ამ სამუშაოს სკოლებიც არაკვალიფიციურად ასრულებენ, ვინაიდან მათ პრაქტიკაში არ არის გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომა მშობლების პედაგოგიური განათლებისადმი. აყოვლად აუცილებელია მნიშვნელოვნად შეიცვალოს სკოლებში მშობელთა განათლების სისტემა. აუცილებელია ასევე პედაგოგიური განათლების დიფერენცირება მოზარდთა მშობლების სხვადასხვა ჯგუფების და მათი მომზადების დონის მიხედვით.

სკოლისა და ოჯახის პარტნიორობა გულისხმობს ოჯახის სკოლასთან ურთიერთობის რამდენიმე სახეს.

1. მუშაობა მშობლებთან – დახმარება ოჯახისათვის, რათა მათ შექმნან წარმატებული ოჯახური გარემო, რომელიც საუკეთესო იქნება ბავშვების აღზრდისა და სწავლისათვის;
2. ურთიერთკავშირი – ორმხრივი ეფექტური ფორმით ინფორმაციის დამუშავება და ღონისძიებების ჩატარება მასწავლებლებისა და მშობლებისათვის, რომლის თემაც იქნება მოზარდებში პასუხისმგებლობის აღზრდის წარმატებები და სიძნელები ოჯახისა და სკოლის ურთიერთობებში;
3. კლასის ხელმძღვანელებისა და პედაგოგების მხარდასაჭერი დახმარების ორგანიზაცია.

ცხოვრებამ დაგვანახა, რომ იქ სადაც მასწავლებლები და მშობლები გაერთიანებულნი არიან ერთ ძალად, კარგად არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა და სწორად არის ორგანიზებული ოჯახური აღზრდა, მაგრამ ამის მიღწევა შესაძლებელი არის მაშინ, როდესაც მშობლები

კარგად აცნობიერებენ ბავშვების სოციალიზაციის მიზანს, ამოცანებს და მეთოდებს. ამიტომ მშობლების პედაგოგიური კულტურის ამაღლება უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

მშობლებთან თანამშრომლობაში მასწავლებლის, როგორც წამყვანის როლის განხორციელება დიდ სირთულეს წარმოადგენს. ამ ურთიერთობის ფორმირებაში უმთავრესი როლი ენიჭება მორალურ-პედაგოგიურ ფაქტორს. სკოლა აწვითარებს ოჯახში დანერგილ ბავშვის ზნეობრივ თვისებებს, ან იძულებულია გარდაქმნას მისი აღზრდა.

ორივე შემთხვევაში პედაგოგმა კარგად უნდა იცოდეს ოჯახში არსებული ზნეობრივი სიტუაცია, ხოლო მშობლებმა იცოდნენ მასწავლებლის ზნეობრივ-პედაგოგიური მოთხოვნები.

პედაგოგიური მორალი ითვალისწინებს მასწავლებლის პიროვნების მიმართ ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც წარმოადგენენ პედაგოგიურად მიზანმიმართულს და აუცილებელს მშობელთან კონტაქტის დასამყარებლად. მათ შორის აღსანიშნავია:

- შეგნება და ზნეობრივი პასუხისმგებლობა მშობლის წინაშე მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის შედეგების გამო;
- მოსწავლეთა მშობლებთან კონტაქტების ძიება და პასუხისმგებლობის გათვითცნობიერება ასეთი თანამშრომლობის ორგანიზებისადმი.

როგორც აღინიშნა, მასწავლებელი და მშობელი – ის ორი მხარეა, რომელიც ურთიერთპასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე ბავშვის აღზრდის გამო. ეს მოთხოვნა დაფუძნებულია ბავშვის შესახებ ყოველმხრივი ინფორმაციის მოპოვების აუცილებლობაზე. ამასთანავე, მასწავლებლის კონტაქტი მშობელთან უნდა ატარებდეს მუდმივ ხასიათს;

- მშობელთა გრძნობის შეურაცსყოფის დაუშვებლობა – მოსწავლეთა ნიჭიერების, ქცევის და მოსწრების დასაბუთებული შეფასებისას. მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლეთს მისცეს მხოლოდ ობიექტური დახასიათება. როდესაც კლასის ხელმძღვანელი ერ-

კვევა მოსწავლის ოჯახურ მდგომარეობაში და შეუძლია გაერკვეს მშობელთა გრძნობებში, მოსწავლეზე საუბრობს პატივისცემითა და საქმის ცოდნით, მაშინ ის მშობლის სახით იძენს მოკავშირეს სწავლა-აღზრდის საქმეში;

- მშობელთა ავტორიტეტის გაზრდა ბავშვის თვალში, უნარი შეაფასო და დაანახო ბავშვებს მშობლის განსაკუთრებული თვისებები. ამ მოთხოვნის პედაგოგიური მნიშვნელობა დიდია.

მასწავლებელი ასწავლის ბავშვებს ზნეობას, აიძულებს ჩაფიქრდნენ, თუ რა საინტერესო და პატივსაცემ ხალხთან უწევთ მათ ცხოვრება. ზოგჯერ მასწავლებელს უხდება ძალისხმევა, რათა დაძლიოს გაუცხოება ბავშვსა და მშობელს შორის. მასწავლებელი, რომელიც შეძლებს, მშობლის ავტორიტეტის ამალვებას ბავშვის თვალში, საკუთარ ავტორიტეტსაც აიმაღლებს.

- მშობლების მიერ გამოთქმული შენიშვნების კრიტიკული ანალიზი.

მასწავლებელი არ უნდა გაექცეს საკუთარ პასუხისმგებლობას, მშობელთა მხრიდან მის მიმართ კრიტიკას შეხვდეს მეგობრულად, თუმცა ფსიქოლოგიურად არ არის სასიამოვნო მოსასმენი ეს შენიშვნები, მით უფრო პედაგოგიკაში ჩაუხედავი მშობლისაგან.

თავისი თავისადმი მომთხოვნი მასწავლებელი განვითარებული თვითკრიტიკის გრძნობით, ყოველთვის დაინახავს შენიშვნებში რაღაც სასარგებლოს, მითუმეტეს, რომ კრიტიკის არ არსებობის შემთხვევაში უკმაყოფილება მშობლებში იზრდება, რაც ბადებს ერთმანეთს შორის გაუგებრობას და მასწავლებლის ავტორიტეტის მიმართ უნდობლობას. მშობლებმა უნდა შეაფასონ პედაგოგის დადებითი მხარეებიც.¹³

მასწავლებელს ყოველთვის არ ძალუძს მშობლებთან თანამშრომლობაში წამყვანი როლის შესრულება იმ მიზეზის გა-

¹³ გიგიტაშვილი მ. ოჯახისა და სკოლის ერთობლივი მუშაობა აღზრდის ახალი პრინციპების განხორციელების საქმეში.-ავტ.დის.....თბ. 2005 გვ.40.

მო, რომ მას გარდა თავისი მორალური ავტორიტეტისა არ გააჩნია არანაირი ძალაუფლება. ასევე იმიტომ, რომ მას უხდება მიზანმიმართული კონტაქტი დაამყაროს ნებისმიერ მშობელთან. სხვა მიზეზთა შორის შეიძლება დასახელდეს მასწავლებელსა და მშობელს შორის განცალკევება ანდა მათი არაკეთილსასურველი ურთიერთობა. ურთიერთგანცალკევებას იწვევს კონტაქტის არარსებობა, გაურკვეველი წარმოდგენები მასწავლებლისა მშობელზე და პირიქით,

წინააღმდეგობა მასწავლებელსა და მშობელს შორის წარმოიქმნება სხვადასხვა მიზეზით. მათ შორისაა ინტერესთა სხვაობა, მრავალი ვალდებულება, რომელიც ენიჭება მხარეებს, ბავშვებისადმი დამოკიდებულების განსხვავებული ფორმები, პედაგოგიური კვალიფიკაციის განსხვავებული დონე და სხვა. ეს წინააღმდეგობები ძლიერდება იმ შემთხვევაში, როცა მასწავლებელი ფორმალისტია და თავის საქმიანობას განიხილავს როგორც სამსახურს და ამყარებს მოსწავლეებთან მსოლოდ საქმიან ურთიერთობას. მშობლებს არ შეუძლიათ დაეთანხმონ მასწავლებლის მშრალ დამოკიდებულებას მოსწავლეთა მიმართ. მასწავლებელს კი ეს პრეტენზიები და განცდები ზედმეტად მოეჩვენება.

მიდგომის სხვადასხვაობას შეუძლია წარმოქმნას მხარეთა უკმაყოფილება თუ მასწავლებელი ვერ გაიგებს მშობლების განცდებსა და შიშს შვილის ბედის გამო.

მოდელი “მასწავლებელი – მშობელი”, რომელიც გამოიყოფა ზნეობრივი ურთიერთობების სისტემაში, გამომდინარეობს იქიდან, რომ ოჯახი წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს ბავშვის ზნეობრივი პოზიციის ფორმირებაში. ბავშვს სწორედ ოჯახში უყალიბდება დანყებითი წარმოდგენები სიცოცხლის აზრსა და მიზანზე, ღირებულებითი ორიენტაცია, ზნეობრივი და სოციალური მოთხოვნილებები და ა.შ. ამიტომ, მასწავლებელმა უნდა იცოდეს, როგორი ზნეობრივი წარმოდგენებია ფორმირებული მოსწავლეში და რა გარემოში ყალიბდებოდა ის. ჩგამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბავშვების ეფექტური აღზრდისათვის გამოიყენება სკოლა და საზოგადოებრივი დაწესებულებები, რომლებიც მიკროსოციუმის ნაწილს წარმო-

ადგენენ. სკოლა ანვითარებს ოჯახში დანერგილ ზნეობრივ თვისებებს და დაინტერესებულია, რომ ოჯახმა მიიღოს აქტიური მონაწილეობა მოზარდთა მომზადებაში.

იმისათვის, რომ საგანმანათლებლო პროცესი წარიმართოს სწორად და ამ პროცესის ყველა მონაწილის ინტერესები დაცული იქნას, აგრეთვე განათლების ხარისხი იყოს მაღალი, საჭიროა სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელობა ესწრაფვოდეს სკოლასა და მშობლებს შორის სრულფასოვანი ურთიერთობის ჩამოყალიბების მექანიზმის შექმნას. სოციალური თანამშრომლობისას აუცილებელია პარტნიორული ურთიერთობების განვითარების ეტაპების ცოდნა.

სკოლა და მშობლები : სოციალური თანამშრომლობის განვითარების ეტაპები.

განათლების მოდერნიზაციის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად მიჩნეულია სოციალური თანამშრომლობა. თანამედროვეობა მოითხოვს ორი პრობლემის გამიჯვნას: სრულფასოვნად ფუნქციონირებადი საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნას და ამ დაწესებულებებში დემოკრატიული სტრუქტურის ჩამოყალიბებას. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ეს ორი კომპონენტი შეიძლება არ ემთხვეოდეს.

ნებისმიერი სასწავლო დაწესებულების პედაგოგიური კოლექტივი უნდა ცდილობდეს მშობლებთან პარტნიორული ურთიერთობის აგებას. ასეთი ურთიერთობის აგებისას შეიძლება გამოვიყოს შემდეგი ეტაპები:

I ეტაპი – გ ა ც ნ ო ბ ა

ამ ეტაპზე განისაზღვრება საერთო მიზნები და საერთო ფასეულობები. პარტნიორული თანამშრომლობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია საერთო მიზნების არსებობა. რადგან თუ მშობლები უფრო ორიენტირებულნი არიან საგნობრივ სწავლებაზე, ხოლო სკოლა კი ბავშვთა სოციალური უნარების განვითარებაზე – კონფლიქტი გარდაუვალია. მშობლებს ექ-

ნებათ ბევრი პრეტენზია, როგორც სწავლების შინაარსის, ასევე ბავშვებთან აღმზრდელობითი მუშაობის ფორმების მიმართ.

საერთო ფასეულობები გაიგება, როგორც მიზნის მისაღწევი საშუალებები.

თანამედროვე საზოგადოებაში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ჰუმანისტური ფასეულობები: ტოლერანტობა, არჩევანის თავისუფლება, პატივისცემა და ა.შ. არსებობენ მშობლები, რომლებიც ირონიულად ეკიდებიან ბავშვებთან ურთიერთობის დემოკრატიულ პრინციპებს, მოითხოვენ მკაცრ დისციპლინას და ბავშვების დატვირთვას, რათა ისინი არ აღმოჩნდნენ სკოლის გარეთ საექვო ურთიერთობებში ჩათრეულნი.

პირველ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მონაწილეთა ურთიერთსარგებლიანობის განსაზღვრას ანუ ერთმანეთის შესაძლებლობების შესწავლას. ამაზეა დამოკიდებული მხარეთა ძალისხმევის გადანაწილება სასურველი ეფექტის მისაღწევად.

მშობელთა რესურსებში უნდა შედიოდეს არა მხოლოდ მატერიალური და ტექნიკური რესურსები, არამედ დროის, საკადრო, სოციალური, აგრეთვე სამოტივაციო რესურსებიც, ანუ მშობელთა საგანმანათლებლო დანესებულებების ცხოვრებაში ჩაბმის მზაობა და მათი პოტენციური აქტიურობა.

ძალიან მნიშვნელოვანია მშობლებმა იცოდნენ, რომ ამ სკოლას ჰყავს გამორჩეული სპეციალისტები, ან რომ სკოლა მონაწილეობს სხვადასხვა საინტერესო პროექტებში.

პირველ ეტაპზე უნდა ჩატარდეს 2 ღონისძიება: მშობელთა მოთხოვნების და რესურსების მონიტორინგი და საკუთარი “ფასეულობების აუდიტი”.

როგორც ნესი, ნებისმიერ სკოლას გააჩნია თავისი წარმოდგენა თავის პრიორიტეტებზე ბავშვთა განათლებაში, მაგრამ უკეთესია, თუ ეს წარმოდგენა იქნება დაფიქსირებული რომელიმე დოკუმენტში და წარმოდგენილი სახალხოდ. ასეთი მიდგომა მომავალში გამორიცხავს ორივე მხარეს შორის კონფლიქტებს. ესე იგი, **პირველი ეტაპის ძირითადი შედეგი უნდა**

გახდეს მშობელთა სურვილი ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად.

II ეტაპი – ერთობლივი საქმიანობა

ამ ეტაპზე მომავალი პარტნიორები იწყებენ ერთობლივი მუშაობის პროგრამის პროექტირებას. აქ მნიშვნელოვანია საერთო წვლილის მცნება, ანუ პასუხისმგებლობის გადანაწილება მხარეებზე., რათა უკეთესად წარიმართოს საერთო საქმე. მშობელი თანამშრომლობის სურვილს მხოლოდ მაშინ გამოთქვამს, თუ კი ის განიცდის ნდობას საგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ.

ნდობის მოპოვება ეფუძნება 3 ძირითადი ფაქტორის არსებობას:

- ეთიკური ნორმების დაცვა;
- მხარდაჭერა;
- პროდუქტიულობა;

განვიხილოთ ბოლო ორი ფაქტორი.

მხარდაჭერა. მშობლებზე რეალური ზრუნვა გამოიხატება რამდენიმე მიმართულებით: რეგულარულ ინფორმირებულობაში, განათლებაში, კონსულტაციაში, სწავლებაში, სოციალურ და ფსიქოლოგიურ დახმარებაში. თუ ოჯახი გრძნობს ამ ზრუნვას – ნდობის დონე სკოლისადმი საგრძნობლად მატულობს.

პროდუქტიულობა. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე მხარეები მათ მიერ შეტანილი წვლილის შედეგს ვერ ხედავენ, ინტერესი თანამშრომლობისაკენ საგრძნობლად ქვეითდება.

თანამედროვეობა მოითხოვს ბევრი პრობლემის გადაჭრას. ეს თავისთავად, ადამიანის, მშობლის დატვირთულობას ზრდის. შესაბამისად, მშობელი მოუცლელი ხდება, თუმცა კი ისინი სათანადოდ აფასებენ როგორც საკუთარ, ისე სხვა ადამიანების დროსაც. აქედან გამომდინარე, არაფრისმომტანი ფუჭი სიტყვები, უადგილო ყბედობა მას მხოლოდ გაალიზიანებს და დააშორებს სკოლას.

ძალიან ხშირად, მშობლებს წარმოდგენაც კი არა აქვთ, თუ რა კონკრეტულ შედეგებს აღწევს სკოლა და სკოლის ცხოვრების რომელ მიმართულებაში შეუძლიათ მათ მონაწი-

ლეობის მიღება. აქ ინიციატორი უნდა იყოს სკოლა და პედაგოგი. მეტად მნიშვნელოვანია კომუნიკაციის არსებობა, აგრეთვე მშობელთა კრებების ქცევა “მრგვალ მაგიდად”, რომელზეც განხილული იქნება სტრატეგიული საკითხები და არ ინარმოებს ფულის აკრეფა “სკოლის საჭიროებებზე”. სასურველია, სკოლასა და მშობლებს შორის დაიდოს ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრული იქნება მხარეთა პასუხისმგებლობის ფორმები.

III ეტაპი – პარტნიორობა

პარტნიორული ურთიერთობის აუცილებელი პირობაა **ნებაყოფლობითობა**, რომელიც მოიაზრება, როგორც ურთიერთქმედების სხვადასხვა ფორმებში თავისუფალი და გააზრებული არჩევანის არსებობა.

პარტნიორული ურთიერთობის მეორე ნიშანია მათი **ხანგრძლივობა**, ე. ი. სუბიექტების ყურადღების მიპყრობა ურთიერთობის ხანგრძლივობასა და არაერთჯერად ხასიათზე. თუ ურთიერთობას სკოლასა და მშობლებს შორის აქვს ქაოტური, თუმცა კი ინტენსიური ხასიათი (მაგ, ღონისძიებების მონყობა, სადაც მშობლები მონაწილეების და არა ორგანიზატორების როლში არიან), – ასეთ ურთიერთობას პარტნიორულს ვერ ვუნოდებთ. ბავშვთა და მშობელთა ორიენტაცია ხანგრძლივ მუშაობაზე სკოლასთან, შესაძლებლობას იძლევა ერთობლივი სტრატეგიული ხასიათის პროექტების განსახორციელებლად.

პარტნიორული ურთიერთობის მესამე ნიშანია **ურთიერთპასუხისმგებლობა, რომლის საფუძველი იყრება მეორე ეტაპზე**. გასათვალისწინებელია, რომ მშობელთა პასუხისმგებლობის გრძნობა მაშინვე არ ჩნდება, ის აღიზრდება ისევე, როგორც ნებისმიერი პიროვნული თვისება.

სკოლამ ნათლად უნდა გააცნობიეროს, პასუხისმგებლობის რომელი დონე უნდა იტვირთოს ოჯახმა და თავისი ყურადღება და დახმარება გაუნაწილოს მათ დიფერენცირებუ-

ლად. სწორედ ამიტომ ენიჭება დიდი როლი მონიტორინგს პარტნიორული ურთიერთობის აგების ყველა ეტაპზე.¹⁴

რას აძლევს ბავშვებს, სკოლასა და მშობლებს შორის პარტნიორული ურთიერთობის დამყარება?

საგნობრივ სფეროში ცოდნის გარდა, ეს შეიძლება იყოს სოციალური უნარების, თვითკმაყოფილების (სიამაყე მშობლების გამო) და კომფორტულობის (მათ შორის თანატოლთა გარემოში) მომცემი. მთავარი კი ის არის, რომ ასეთი მიდგომისას შეიძლება საგრძნობლად შეიცვალოს ურთიერთობა ბავშვებსა და მშობლებს შორის, თუ ურთიერთობის ეს მოდელი გადატანილი იქნება ოჯახში. ეს კი ნიშნავს, რომ გარემო, რომელშიც იზრდება და ვითარდება ბავშვი, იქნება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი.

სამწუხაროდ, სკოლასა და მშობლებს შორის შესაძლოა წარმოიქმნას კონფლიქტური სიტუაცია, რაც ნეგატიურად აისახება ბავშვის პიროვნების ფორმირებაზე. ამ დროს მნიშვნელოვანია კლასის დამრიგებლის როლი კონფლიქტის დარეგულირების საქმეში.

კლასის დამრიგებელი “სკოლა – მშობლების “ კონფლიქტში.

თითქმის ყველა მასწავლებელს თავის მუშაობაში აკისრია საკმაოდ ძნელი, მაგრამ მეტად საჭირო მისია – იყოს კლასის დამრიგებელი.

ერთი ჯგუფი მასწავლებლებისა პედაგოგიურ საქმიანობაში ამ სამუშაოს დამატებით დატვირთვად თვლის, სხვები კი მას უწოდებენ ყველაზე მთავარს.

როგორი რთულიც არ უნდა იყოს კლასის დამრიგებლის მუშაობა, უეჭველია, ის სჭირდება ბავშვებს, რადგანაც სკოლაში ძირითად სტრუქტურულ რგოლს წარმოადგენს კლასი.

¹⁴ Хоменко Школа и родители: Этапы развития социального партнёрства . –ж. « Директор школы» № 4. –М. 2007. Стр. 83-88.

სწორედ აქ ყალიბდება შემეცნებითი საქმიანობა და ხდება სოციალური ურთიერთობების ფორმირება მოსწავლეებს შორის. კლასში მოსწავლის საქმიანობის ორგანიზატორს და აღმზრდელობითი ზემოქმედების კოორდინატორს წარმოადგენს დამრიგებელი.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და კერძოდ კლასის დამრიგებელი, უფრო მეტად არიან კომპეტენტურნი ფსიქოლოგის, პედაგოგის, ესთეტიკის, სამართლის საკითხებში, ამიტომ მათ შეუძლიათ დახმარება გაუწიონ მშობლებს ოჯახური აღზრდის არასტანდარტულ სიტუაციებში: მრავალშვილიან და ერთშვილიან, არასრულ (დედის ან მამის მხრივ) ოჯახებში აღზრდაში დაპირისპირებულობის პრობლემის გადაწყვეტაში და შეცდომების გადალახვაში.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ოჯახური აღზრდა – პირადული საქმეა, ინტიმურ-ოჯახური. მშობლები თვითონ განსაზღვრავენ თავიანთი შვილის ბედს, აქვთ სრული უფლება ჰქონდეთ საკუთარი პედაგოგიური პოზიცია, აღზრდის თავიანთი სტილი და ურთიერთობის ტონი. ამიტომ, კლასის დამრიგებელი, მოსწავლის ოპტიმალური განვითარების მისაღწევად იყენებს რა პედაგოგიურ ტაქტს მშობლებთან ურთიერთობისას, გამოდის მრჩევლის, პედაგოგ – კონსულტანტის როლში.

სკოლის, კერძოდ კი, კლასის დამრიგებლისა და მშობლების ურთიერთობა შეიძლება სხვადასხვაგვარად წარიმართოს. ამაზეა დამოკიდებული:

– ურთიერთგაგებისა და ურთიერთმოქმედების ხარისხი და საბოლოო ჯამში – აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურობა;

– კლასის დამრიგებლის მშობლებთან მუშაობის პოზიცია, სტრატეგია და ტაქტიკა.

არსებობს ურთიერთობის სამი ძირითადი ტიპი და აქედან გამომდინარე ურთიერთქმედების სამი ძირითადი ტაქტიკა:

1. სიტუაცია, როდესაც მშობლები მთლიანად იღებენ და უგებენ სკოლას. ამგვარად სასურველი სიტუაცია

ყალიბდება მაშინ, როდესაც მშობლები ისწრაფვოდნენ სწორედ ამ სკოლაში ესწავლა მათ პირმშოს. ამ შემთხვევაში მშობლებისათვის მისაღებია სკოლის ყველა მოთხოვნა და ისინი ეხმარებიან ბავშვებს ამ მოთხოვნების შესრულებაში და ხალისით მონაწილეობენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზებაში.

2. სიტუაცია, როდესაც მშობლები ნეიტრალურად, ზოგჯერ კი გულგრილად ეკიდებიან სკოლას, რაც აიხსნება სხვადასხვა მიზეზითა თუ პოზიციით: “მე ჩემი საქმეებით ვარ დაკავებული – სკოლა კი თავისით”; “სკოლის საქმეებში ჩარევა საჭირო არ არის: თუ დამიძახებენ, მაშინ გამოვცხადდები”; “ჩემი შვილი კარგად სწავლობს, არ არღვევს დისციპლინას – ყველაფერი წესრიგშია”. ამ ჯგუფის ოჯახებს მიეკუთვნებიან ის მშობლებიც, რომლებიც შვილების აღზრდით არ არიან დაკავებულნი (სხვადასხვა მიზეზის გამო). ამ სიტუაციაში ისინი იღებენ ყველაფერს, რაც სკოლიდან მომდინარეობს, არ ერევიან სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, ხელს არ უშლიან სკოლას, მაგრამ არსებით დახმარებასაც არ უწევენ მას. თავიანთი ცხოვრებისეული და პედაგოგიური პოზიციიდან გამომდინარე ოჯახური აღზრდის პროცესს აგებენ საკუთარი შეხედულებებისამებრ (ან მიშვებული აქვთ თვითდინებაზე). სკოლისა და მშობლების ასეთი არაჯანსაღი ურთიერთობის პირობებში, როდესაც მათ შორის არ არსებობს ურთიერთგაგება და ურთიერთხემოქმედება, ბავშვი ხვდება ეგრეთწოდებულ “პედაგოგიურ მაკრატელში”. აღზრდის შინაარსი და მეთოდის ორ აღმზრდელობით სუბიექტს შორის მოდის წინააღმდეგობაში, რომელიც ღრმავდება ბავშვის ასაკობრივ ზრდასთან და ცხოვრებისეული მოვლენების შეფასების კრიტერიუმის განვითარებასთან ერთად და შედეგად ვიღებთ აღმზრდელებისადმი (მშობლებისა

და პედაგოგებისადმი) კრიტიკულ დამოკიდებულებას.

3. სიტუაცია, როდესაც სკოლასა და მშობლებს შორის დასაწყისშივე ან ურთიერთობის დაწყების შემდგომ ეტაპზე წარმოიშვება ასეთი ტიპის კოლიზიები: “პედაგოგები ვერ უგებენ ჩემს შვილს..”; “სკოლა განზრახ ცუდად ეკიდება ჩემს შვილს”; “მასწავლებლებად მიდიან ცხოვრებაში ხელმოცარული პირები”; “სხვა სკოლებში ყველაფერი უკეთ არის მოწყობილი” და ა. შ. ამ და მსგავს შემთხვევებში შესაძლებელია მოხდეს გაუგებრობა, დაპირისპირებულობა, უფრო მეტიც, – “ორთაბრძოლა”: ფარული და აშკარა კონფლიქტები, საჩივრები უმაღლეს ინსტანციებში, წერილები გაზეთებში და სხვა. რა თქმა უნდა, ამ პირობებში სკოლაში ირღვევა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობა, არ არის მომგებიან სიტუაციაში არც საოჯახო აღზრდა.

კლასის დამრიგებლის ინტერესებში არ შედის ურთიერთობაში “სკოლა – მშობლები” ამგვარი დამოკიდებულების არსებობა: გვინდა თუ არ გვინდა, ის წარმოადგენს შეუცვლელ ფონს, რომელზეც აიგება საკუთარი ურთიერთობები კლასთან და მშობელთა კოლექტივთან. ამიტომ, კლასის დამრიგებელი მშობლებთან პირველივე შეხვედრაზე შეიგრძნობს მის მიერ შეთავაზებულის ან უპირობო და სწრაფ მიღებას, ან ნეიტრალურ-გულგრილ დამოკიდებულებას, ან ფარულ თუ აშკარა ოპოზიციურობას და მტრობასაც კი.

კლასის დამრიგებელმა მშობლებთან და ბავშვებთან ურთიერთობის დასაწყისშივე უნდა “მოხსნას” საერთო სკოლის მასშტაბში გადაზრდილი აშკარა ან მოსალოდნელი დაპირისპირება. როგორ?

- **პირველ რიგში** ბავშვთა დამოკიდებულების ფორმირებით საკუთარი პერსონის მიმართ: საინტერესო და სასარგებლო გაკვეთილებით, კლასგარეშე მუშაობით, ყოველი მოსწავლის მიმართ ყურადღების გამოჩენით, ურთიერთობის კულტურით, საერთო საქმის

საინტერესო პერსპექტივის დასახვით, ფართო ერუდიციით.

- **მეორე რიგში** საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად დაამყაროს ურთიერთობა მშობლებთან. პირველივე მშობელთა კრებაზე გააცნოს მათ თავისი ცხოვრებისეული და პედაგოგიური პოზიცია, აჩვენოს თავისი პროვინების მიმზიდველობა (ძალიან ტაქტიანად, უბრალოდ). აღზრდის საქმეში სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების მიზნით განსახილველად გამოიტანოს ყველაზე მწვავე პრობლემები (როგორც სასკოლო, ასევე ოჯახის).

პირველივე კრების ბოლოს, აუცილებელია შესთავაზოს ყველა მშობელს წერილობით ან ზეპირად გადმოსცეს თავისი შეხედულებები მოსმენილის, შენიშვნების, წინადადებების, რეკომენდაციების შესახებ. პირველივე კონტაქტისას ძალზე მნიშვნელოვანია ურთიერთობის ტონალობის არსებობა: კეთილგანწყობა, მეტყველების კულტურა, პოზიტიური ემოციონალურობა, ოპტიმიზმი კლასთან თუ ცალკეულ მოსწავლესთან არსებული პრობლემის გადაჭრის მიმართ. ასეთი დაწყება კლასის დამრიგებელს ხელს შეუწყობს მშობლებთან პოზიტიური ურთიერთობების სისტემის შექმნაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს ურთიერთობები იქნება აუცილებლად დადებითი, უკონფლიქტო, რადგან ამ ურთიერთობების საფუძველი – ცხოვრებაა თავისი სიხარულითა და მწუხარებით, აღმასვლითა და ვარდნით, თანაბარი დინებითა და კოლიზიებით.

კონფლიქტი პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში განიხილება როგორც აზრთა განსხვავებულობა შეხედულებებში, ცხოვრებისეული მოვლენების შეფასებაში, მსოფლმხედველობაში, გარემომცველი სამყაროს ობიექტების აღქმაში. *გადანწყვეტილი კონფლიქტი* ხელს უწყობს პოზიტიურ განვითარებას, მოსწავლის, თავად დამრიგებლის კლასთან და მშობლებთან ურთიერთობების პროგრესს. *გადაუწყვეტილი კონფლიქტი* – აღრმავებს ისედაც დაძაბულ ურთიერთობებს, არღვევს ნორმალური სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მსვლე-

ლობას, ანგრევს მოსალოდნენ დადებით კონტაქტებს მასწავლებელსა და მოსწავლეებს, მშობლებსა და ბავშვებს შორის.

შესაძლო კონფლიქტების ტიპები ურთიერთობაში "დამრიგებელი – მშობლები" თავისი განვითარების სიღრმითა და სირთულით შემდეგია:

- **აზრთა და შეფასებათა განსხვავებულობა** ცხოვრებისეული მოვლენების აღქმისა და შეფასების მიმართ: წიგნის, ფილმის, სპექტაკლის, მუსიკალური ნაწარმოების, ლაშქრობის და სხვა. (ასეთი ტიპის წინააღმდეგობა პიროვნულად არც ერთ მხარეს არ ეხება);
- **აზრთა და შეფასებათა განსხვავებულობა** ბავშვის (აღსაზრდელის), მისი ცალკეული ქმედებებისა და საქციელის მიმართ (ეს წინააღმდეგობა უკვე მხარეთა ემოციონალურ სფეროს ეხება);
- **კამათი, არაპროდუქტიული დისკუსია** ბავშვის პიროვნული თავისებურებების, მისი ცხოვრებისეული პოზიციის, მისადმი მშობლების დამოკიდებულების, სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შინაარსისა და მეთოდის გამო. (ეს წინააღმდეგობა ეხება ერთისა და მეორე მხარის ცხოვრებისეულ და პედაგოგიურ პოზიციას);
- **კამათი, ურთიერთობის განწყვეთა** ხანმოკლე ან უფრო ხანგრძლივი დროით, რამაც შესაძლოა, უფრო მყარი კონფლიქტი და ურთიერთდაპირისპირებულობაც კი გამოიწვიოს. (მშობელთა კრებებზე გამოუცხადებლობა, მოთხოვნათა ხაზგასმული იგნორირება, ჩივილი სკოლის ადმინისტრაციასა და განათლების სფეროს სხვა ინსტანციებში);
- **ურთიერთობის განწყვეთა** – უკიდურეს ნერტილამდე მისული კონფლიქტი, როდესაც ურთიერთობებში წარმოქმნილია ისეთი ურთიერთდაპირისპირებულობა, რომელიც შეუძლებელს ხდის ბავშვის აღზრდის საქმეში ურთიერთთანამშრომლობის არსებობას. ამ შემთხვევაში დამრიგებელი და მშობლები სვავენ სა-

კითხს ბავშვის სხვა კლასში ან სხვა სკოლაში გადაყვანის შესახებ.¹⁵

არსებობს კონფლიქტის ორი ჯგუფი: ობიექტური და სუბიექტური

პირველი ჯგუფი – მიზეზები ობიექტური ხასიათისაა:

- განსხვავებული დონის არსებობა ფსიქო–პედაგოგიურ განათლებასა და კულტურაში, მსოფლმხედველობაში, ფასეულობებში;
- განსხვავებული დონის არსებობა ფსიქო–პედაგოგიურ, ეთიკურ, ესთეტიკურ მომზადებაში ბავშვთა აღზრდის შესახებ;
- ასაკობრივი და სქესობრივი განსხვავებულობა დამრიგებელსა და მშობელს შორის;
- განსხვავებულობა ბავშვისადმი დამოკიდებულების ტიპებში: მშობლების შემთხვევაში ურთიერთობის საფუძველი – სიყვარულის გრძნობაა, დამრიგებლისა კი – საზოგადოებრივი და ზოგადადამიანური მოთხოვნები;
- ცალმხრივი ინფორმირებულობა ბავშვის შესახებ (მშობლები შინაურ პირობებში აკვირდებიან მას, პედაგოგი კი – საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში);
- მშობლების მიერ გადაჭარბებული მოთხოვნების წაყენება პედაგოგებისადმი, პედაგოგებისა კი–მშობლებისადმი;
- განსხვავებული მატერიალური და სულიერი პირობების არსებობა ბავშვთა აღზრდისა და განვითარების ამოცანების რეალიზაციაში (ინტელექტუალური, ფიზიკური, ესთეტიკური, შემეცნებითი და სხვა);

მეორე ჯგუფი – სუბიექტური ხასიათის მიზეზები, რომლებიც დამრიგებლისა და მშობლების პირადულ თავისებურებებში არსებობენ:

¹⁵ Сергеева В.П. Классный руководитель в современной школе. 2-е изд., М.: ЦГЛ, 2003. с.21.

- პიროვნული თავისებურებები: ფსიქოლოგიური პროცესების მიმდინარეობის თავისებურება (შეგრძნება, ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება), პიროვნული მიმართულება (მოთხოვნილებები, , მოტივები, ინტერესები, მსოფლმხედველობა), უნარები (ზოგადი და სპეციალური), ტემპერამენტი, ხასიათის თვისებები.;
- ცხოვრებისა და აღზრდის ისტორია, ოჯახისა და ახლობელთა წრის მოვლენები, რომლებმაც გავლენა იქონიეს ცხოვრებისეული და პედაგოგიური პოზიციის ჩამოყალიბებაზე.
- აღზრდის გაგებაში შექმნილი სტერეოტიპები;
- აღზრდა, როგორც ინტუიციური პროცესი (“როგორც ჩვენ გვზრდიდნენ”, “ როგორ ... დავსაჯოთ, დავემუქროთ, დავამინოთ”), როგორც უსასრულო მორალის კითხვა (რაც საკმაოდ ხშირად გვხვდება მაღალი დონის განათლების მქონე ოჯახებში, პედაგოგიურ ოჯახებში);
- წინამორბედი წვრილი თუ მასშტაბური, მოკლე და გრძელვადიანი კონფლიქტები;
- ბავშვის დამოკიდებულება სკოლაში მიმდინარე სასწავლო–აღმზრდელობითი პროცესის მიმართ;
- ნაკლოვანებები და გადახრები ფსიქიკაში , ფსიქიური დაავადებების არსებობა (ნერვოზი, ისტერია, ნევრასტენია);
- მავნე ჩვევები (ალკოჰოლიზმი, მოწევა, ნარკომანია);
- ბავშვების მიმართ გულგრილი დამოკიდებულება (მშობლის მიერ პირდაპირი მოვალეობის ან მასწავლებლის მიერ პედაგოგიური ვალდებულების შეუსრულებლობა);¹⁶

მშობლებთან ურთიერთობაში წარმოქმნილი კონფლიქტის პირობებისა და მიზეზების გაანალიზებისას, კლასის დამ-

¹⁶ Маленкова Л.И. ПЕДАГОГИ, РОДИТЕЛИ, ДЕТИ (методическое пособие для воспитателей, классных руководителей). М.: изд-во педагогическое общество России, 2000.-с.13-16.

რიგებელი, როგორც წესი, გამოყოფს რამდენიმე მომენტს, რომლებიც ქმნიან მიზეზების რთულ ერთობლიობას . ეს ეხმარება მას დროულად ამოიციოს , თავიდან აიცილოს და გადალახოს უკვე არსებული ან ახლად დაწყებული კონფლიქტები.

ანალიზებს რა თავის ურთიერთობებს მშობლებთან კონფლიქტურობის ხარისხის მიხედვით, დამრიგებელი ირჩევს მისი მოგვარების ადექვატურ ხერხებს:

- ურთიერთობაში გაჩენილი უმნიშვნელო, არაარსებითი პრობლემის ხუმრობამდე დაყვანა;
- კომპრომისი (ქმედებები ურთიერთდათმობების საფუძველზე);
- ყურადღების გადატანა ურთიერთობების უფრო მნიშვნელოვან, საამო ობიექტებზე (იმ აზრით, რომ კეთილგანწყობის ტალღაზე მშვიდად და პედაგოგიური ტაქტის გამოყენებით მოხდეს პრობლემის ამოწურვა);
- შექმნილი სიტუაციის მშვიდი და საქმიანი ანალიზი;
- დროებით უარის თქმა თავის მოთხოვნებზე;
- ბავშვისა და მშობლის მიმართ ნდობის, მზრუნველობის, სიყვარულის ხაზგასმით გამოხატვა;
- “მოსამართლის” რანგში სხვა პირების ჩართვა (სკოლის დირექტორის, რომელიმე საგნის მასწავლებლის, ოჯახის სხვა წევრის);
- მწვავე პრობლემების განხილვა სხვა ვითარებაში და უჩვეულო ფორმებში: ბიბლიოთეკაში, ბაღში, სახლში ფინჯან ყავასთან და ა.შ.
- კონსტრუქტიული დიალოგი (მშობელთა მიმხრობა თავისკენ დამაჯერებელი მოსაზრებით, დამამტკიცებელი ფაქტებით);
- უნარი, დააყენოს თავისი თავი მოპირისპირე მხარის ადგილას, შეაფასოს ყველაფერი მისი თვალითა და გონებით”და ამის საფუძველზე მიიღოს სწორი გადაწყვეტილება და შეადგინოს მოქმედების გეგმა.

- მასწავლებლის პირადი მაგალითი, კონფლიქტის დარეგულირების მიზნით ყველა ჩამოთვლილი ხერხის გამოყენება.

ძალზე მნიშვნელოვანია კლასის დამრიგებელმა კონფლიქტის გადაწყვეტის მცდელობისას გაითვალისწინოს შემდეგი პირობები:

- ორივე მხარის მზაობა კონფლიქტური სიტუაციის გადანყვეტის აუცილებლობაში;
- ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური წიგნიერება, თუნდაც ელემენტარულ დონეზე;
- ეთიკური განათლებულობა, ქცევის კულტურის ფლობა, ეტიკეტის ნორმების დაცვა;
- მხარეთა ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა (წინააღმდეგ შემთხვევაში დროული იქნება ექიმ – ფსიქონევროლოგის ან ფსიქიატრის მონაწილეობა);
- კლასის დამრიგებლისა და მშობლების მიერ არსებული კონფლიქტური ურთიერთობების დაფარვა მოსწავლეებისაგან.

ამრიგად, კონფლიქტური ურთიერთობის წარმომქმნელი მიზეზების, ტიპების, კონფლიქტის დარეგულირების ხერხების და პირობების ცოდნა და ანალიზი ეხმარება დამრიგებელს ეფექტურად მართოს კონფლიქტის წარმოქმნის, განვითარების და გადაწყვეტის სიტუაცია და სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურობის ამაღლების საშუალებად აქციოს.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მეტად პროდუქტიულ ელემენტს და ურთიერთობაში “დამრიგებელი – მშობელი” ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მშობელთა კრება, რომლის ჩატარების თანამედროვე მეთოდიკას ჩვენ ქვემოთ შემოგთავაზებთ.

მშობელთა კრება – ურთიერთობის მუდმივი და წარმატებული ფორმა

კლასის დამრიგებელსა და მშობლების ურთიერთობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მშობელთა კრება, რომელიც ჩვენი აზრით ითვლება არანაკლებ რთულ “ქანადა”, ვიდრე გაკვეთილები ან კლასგარეშე მუშაობა. აქ ერთმანეთს ხვდება ორი მხარე – პედაგოგები და მშობლები – რათა მოუსმინონ ერთმანეთს და განიხილონ მესამე მხარის, ბავშვების, ძირითადი პრობლემები.

ვატარებდით რა კვლევას კლასგარეშე მუშაობასთან დაკავშირებით, კერძო საუბრებში მშობლებთან დავვინტერესდით, ურთიერთობის რამდენად სასურველი და საინტერესო ფორმაა მშობელთა კრება. აღმოჩნდა, რომ კრებაზე განიხილება მხოლოდ მოსწავლეთა დისციპლინის, აკადემიური მოსწრებისა და წელიწადში 2-ჯერ, ექსკურსიის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები. “არ მახსოვს კრებას ყველა მშობელი დასწრებოდეს. ბავშვი მერვე კლასშია, სამი წელია ამ სკოლაში და ყველა მშობელს არც კი ვიცნობ”; “ყოველთვის თავს ვარიდებ კრებაზე მისვლას. ჩემი შვილი უსაშველოდ ზარმაცია. კრებაზე მხოლოდ დათო აკერია პირზე და მუდმივად მისი (მასწავლებლის) ლექციების მოსმენის თავი არა მაქვს. მივდივარ მაშინ, როდესაც კრება ექსკურსიას ეხება”; “კრებაზე სულ ერთი და იგივე შემადგენლობა მოვდივართ, ძირითადად ვისი შვილებიც კარგად სწავლობენ, მაქსიმუმ – მშობელი. საინტერესო? რა უნდა იყოს საინტერესო – დაგვიმოდვრავს, თუ ასაკრფია ფული – აკრფეს, გავინაწილებთ ვინ რა საჭმელს აკეთებს ექსკურსიისათვის და მივდივართ. სადმე სხვანაირად ტარდება კრება?”

მიღებულმა პასუხებმა გადაგვანყვეტინეს, დაგვემუშავებინა ეს საკითხი, გაგვეხილა კრების მომზადების და ჩატარების მიზნები, სახეები, ეტაპები და მისი საინტერესოდ წარმართვის მიზნით შემოგვეთავაზებინა რეკომენდაციები.

მშობელთა კრება შეიძლება იყოს:

- ❖ ორგანიზაციული;

- ❖ მიმდინარე ან თემატური;
- ❖ შემაჯამებელი;
- ❖ საერთო სასკოლო და საკლასო.

საერთო სასკოლო მშობელთა კრება ტარდება წელიწადში ორჯერ. მის ძირითად მიზანს წარმოადგენს :

- სკოლის მუშაობის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- აღმზრდელობითი პროცესის დაგეგმვა (ღია კარის დღე, თვითმმართველობის დღეები და.შ.)
- დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შესრულებული მუშაობის შეჯამება სწავლების პერსპექტიული განვითარება სასკოლო რეფორმის პირობებში.

ასევე მშობელთა საერთო კრება შეიძლება ატარებდეს საზეიმო ხასიათს, მაგალითად, სკოლის საიუბილეო წელი. ასეთი შეკრებები ატარებენ ღრმა ზნეობრივ ხასიათს , დადებითად ზემოქმედებენ მშობლებზე, ახდენენ სტიმულაციას პედაგოგიური პოზიციის ცვლილებებისაკენ ოჯახში.

საკლასო მშობელთა კრების თემატიკა განისაზღვრება კლასის დამრიგებლის მიერ სკოლის მშობლებთან მუშაობის მიზნებისა და ამოცანების შესწავლის საფუძველზე და გამომდინარეობს კლასის მშობელთა მოთხოვნილებებიდან.

საკლასო მშობელთა კრებები ტარდება 4-5ჯერ სასწავლო წლის განმავლობაში. ამ კრებებზე განიხილება :

- აღმზრდელობითი პროცესის ამოცანები;
- განისაზღვრება მშობელთა და სკოლის ერთობლივი თანამშრომლობის სტრატეგიული გეზი;
- წლის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის შეჯამება.

მოსწავლეთა მოსწრების განხილვა არ უნდა წარმოადგენდეს მშობელთა კრებების ჩატარების მთავარ არგუმენტს.

მშობელთა კრების ჩატარების ეტაპებია:

პირველი ეტაპი –მშობელთა კრების ორგანიზაცია;

მეორე ეტაპი – სცენარის მომზადება და კრების ჩატარება;

მისი ჩატარებისას გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი კრება უნდა შეიცავდეს 5 აუცილებელ კომპონენტს:

- ❖ მოსწავლეთა სასწავლო მიღწევათა ანალიზი;
- ❖ მშობლებისათვის კლასში არსებული სოციალურ-ემოციონალური კლიმატის გაცნობა;
- ❖ ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური განათლება;
- ❖ ორგანიზაციული საკითხების განხილვა;
- ❖ პირადი საუბრები მშობლებთან.

მესამე ეტაპი – მშობელთა კრების შედეგების გაანალიზება.

რეკომენდაციები მშობელთა კრების წარმატებით ჩატარებისათვის:

როგორ ვაქციოთ სასკოლო ცხოვრების აუცილებელი ელემენტი საინტერესოდ და პროდუქტიულად? ეს განსაკუთრებით საინტერესო იქნება დამწყები კლასის დამრიგებელთათვის.

- მშობელთა კრების ჩასატარებლად აირჩიეთ მეტნაკლებად შესაფერისი დღე, დრო და ეცადეთ, რომ ამ დროს არც თქვენ და არც მშობლებს არ ჰქონდეთ დაგეგმილი რაიმე აუცილებელი საქმე;
- განსაზღვრეთ ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ეხება თქვენი კლასის მოსწავლეებს და მშობლებთან საუბარი ააგეთ ამ პრობლემის განხილვაზე;
- კრების დაწყების წინ “კარებს უკან” უნდა დატოვოთ ცუდი განწყობილება;
- კრების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს საათნახევარს;
- კრების დაწყების წინ გამოაცხადეთ საკითხები, რომლებიც გასურთ განიხილოთ;
- ყველაზე სასიამოვნო ბგერა ადამიანისათვის – მისი სახელია. მოამზადეთ სავიზიტო ბარათები (ბეჯჯები) მშობელთა სახელებით , განსაკუთრებით იმ შემ-

თხვევაში, თუ ისინი კარგად არ იცნობენ ერთმანეთს;

- განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ მშობელთა განთავსებას საკლასო ოთახში. მაგალითად, შეიძლება მაგიდები და სკამები დადგათ წრეზე, რათა კრების ყველა მონაწილე ხედავდეს და უსმენდეს ერთმანეთს.
- გაუფრთხილდით კრებაზე მისული მშობლების დროს, გამომდინარე აქედან დაიცავით რეგლამენტი;
- არ დაგავინყდეთ პედაგოგიური ანალიზის ოქროს წესი: დაიწყეთ პოზიტიურით, შემდეგ ისაუბრეთ ნეგატივზე და დაასრულეთ საუბარი სამომავლო გეგმებით;
- მადლობა გადაუხადეთ მათ, ვინც იპოვა დრო მოსასვლელად (განსაკუთრებით მამებს);
- მშობლებს აუხსენით, რომ არ არის აუცილებელი ბავშვებისათვის სრული ინფორმაციის მიწოდება;
- პირად საუბრებში ბავშვების მიღწევები შეაფასეთ მათი შესაძლებლობების შესაბამისად;
- მიიტანეთ მშობლებამდე ის აზრი, რომ “ცუდი მოსწავლე” არ ნიშნავს “ცუდ ადამიანს”;
- პრობლემური საკითხების გადაჭრისას დაეყრდენით ავტორიტეტული მშობლების ცხოვრებისეულ და პედაგოგიურ გამოცდილებას, გაითვალისწინეთ მშობელთა კომიტეტის, სკოლის სამეურვეო საბჭოს და სკოლის ადმინისტრაციის აზრი;
- ისწრაფეთ, რათა კრებაზე მიიღოთ კონკრეტული გადაწყვეტილებები;
- მშობელი უნდა სტოვებდეს კრებას იმ შეგრძნებით, რომ მას შეუძლია დახმარება გაუწიოს თავის შვილს;
- იმისათვის, რომ მშობელთა კრება იყოს გულახდილი და არა იძულებითი, დაგეხმარებათ ფინჯანი ჩაი და ყავა.

არ ღირს:

- კრებაზე მისული მშობლების გაკიცხვა წინა კრებებზე გამოუცხადებლობის გამო;
- ცალკეულ მოსწავლეთა მიღწევათა შედარება;
- მთელი კლასისათვის ნეგატიური შეფასების მიცემა;
- ცალკეული სასწავლო საგნების მნიშვნელობის გადაჭარბება;
- მშობლებთან საუბრისას დამრიგებლური ტონის არჩევა.

მშობელთა კრებაზე კლასის დამრიგებლის ქცევის ნესები:

- მშობლებთან შეხვედრის წინ პედაგოგი უნდა განთავისუფლდეს შიშისა და დაძაბულობისაგან;
- საუბრის, ინტონაციის, ჟესტიკულა და სხვა საშუალებებით აგრძნობინეთ მშობლებს თქვენი მათდამი პატივისცემა და ყურადღება;
- ეცადეთ გაუგოთ მშობლებს, სწორად განსაზღვრეთ პრობლემა, რომელიც განსაკუთრებულად ანუხებთ მათ. დაარწმუნეთ ისინი იმაში, რომ სკოლასა და ოჯახს აქვს ერთი და იგივე პრობლემები, აღელვებთ ერთი და იგივე საკითხები, რომელიც ბავშვის აღზრდასთანაა დაკავშირებული;
- მშობლებთან ისაუბრეთ მშვიდად და კეთილგანწყობილად;
- აუცილებელია , რომ წარჩინებული და რისკის ჯგუფის ბავშვთა მშობლებიც კრებიდან წავიდნენ თავიანთ შვილებში დარწმუნებულნი;
- მშობლებმა უნდა იგრძნონ თქვენი მხარდაჭერა და დახმარება, რაც წარმოადგენს თქვენი ერთობლივი თანამშრომლობის შედეგს.¹⁷

თუ კლასის დამრიგებელი გაითვალისწინებს ჩვენს მიერ მიწოდებულ რეკომენდაციებს, მშობელთა კრებები ნამდვი-

¹⁷ ბ.კოპალიანი მასწავლებლის სამაგიდო ნიგნი.-თბილისი, "უნივერსალი", 2010, გვ.76

ლად არ იქნება მათთვის უინტერესო და რუტინული. დამრიგებელთან შესახვედრად მშობელი ვალის მოხდის მიზნით კი აღარ მივა, არამედ ხალისით იურთიერთებს მასთან და კლასის მშობლებთან, ჩაერთვება ნებისმიერი სასკოლო ღონისძიების მომზადებაში.

დასკვნა და რეკომენდაციები

საგანმანათლებლო პრაქტიკაში ჰუმანური პედაგოგიკის დანერგვა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის თითოეულ კომპონენტს გავიაზრებთ ახლებურად.

პედაგოგიური ინფრასტრუქტურის ხერხემალს წარმოადგენს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი თავისი შემადგენელი სტრუქტურული ელემენტებით.

მთავარი მიზნის – **მრავამხრივ და ჰარმონიულად განვითარებული მოზარდის აღზრდა** – მისაღწევად, სკოლამ უნდა გამოიყენოს აღზრდის ისეთი მნიშვნელოვანი ფორმა, როგორცაა **კლასგარეშე მუშაობა**, რომელიც უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა ბავშვის პიროვნების განვითარებისა და ფორმირებისათვის. წარმატება გარანტირებულია იმ შემთხვევაში, თუ სკოლა ითანამშრომლებს მშობლებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც მიკროსოციუმის ნაწილს წარმოადგენენ.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ კლასგარეშე კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემის მუშაობა – **არა-დამაკმაყოფილებელია** :

- მოსწავლეთა ინტერესების სფერო საკმაოდ მრავალმხრივია, მაგრამ ისინი განიცდიან დამრიგებელთან მათთვის საინტერესო თემებზე საუბრის დეფიციტს;
- თითქმის ყველა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ბავშვთა და მასწავლებელთა ინტერესების თანხვედრა სასკოლო პრაქტიკაში აუცილებელია, მაგრამ კვლევიდან ჩანს, რომ მათი ინტერესები არა თუ არ ემთხვევა, არამედ მასწავლებელმა არც იციან მათ შესა-

ხებ და , რა თქმა უნდა ვერც დააკმაყოფილებენ მოსწავლეთა სურვილს;

- მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეები თითქოს დადებითად აფასებენ კლასის დამრიგებელთან ურთიერთობას, მაინც განიცდიან ამ ურთიერთობის დეფიციტს, რაზედაც მეტყველებს ანკეტის კითხვებზე გაცემული პასუხები. მათ აკლიათ მასწავლებელთა სითბო, მზრუნველობა, კომუნიკაცია და ურთიერთგაგება.
- სკოლაში არ ტარდება კლასგარეშე მუშაობის უმნიშვნელოვანესი ფორმა – *სადამრიგებლო საათი*. მასწავლებლები არ არიან კლასგარეშე მუშაობის ამ ფორმის ჩატარებით დაინტერესებულნი, რადგან მასში სათანადო გასამრჯელოს არ იღებენ. აქედან გამომდინარე , ეს “მუშაობაც” ფორმალურ ხასიათს ატარებს და დაყვანილია ბავშვების დატუქსვისა და დისციპლინარულ-სასწავლო საკითხების განხილვამდე, რაც მოსწავლეთათვის უინტერესო და დამღლელია.
- კლასის დამრიგებლისა და მშობლების ურთიერთობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მშობელთა კრება, რომელიც ითვლება არანაკლებ რთულ “ჟანრად”, ვიდრე გაკვეთილები ან კლასგარეშე მუშაობა. მშობელთა ინტერვიუებისას აღმოჩნდა, რომ კრებაზე განხილვა მხოლოდ მოსწავლეთა დისციპლინის, აკადემიური მოსწრებისა და ექსკურსიის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები., რაც მას უინტერესოს და არასასურველს ხდის.

სასკოლო პრაქტიკაში აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით ჩვენ მეცნიერულად შევისწავლეთ და დავამუშავეთ კლასგარეშე მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები, შევიმუშავეთ ამ საქმიანობის გასაუმჯობესებელი სათანადო რეკომენდაციები და წარვუდგინეთ იმ საჯარო სკოლების დირექციას, სადაც მიმდინარეობდა პედაგოგიური კვლევა.

დასკვნის საფუძველზე გამოვიმუშვეთ შემდეგი რეკომენდაციები:

1. მოსწავლეთა ინტერესების გამორკვევის მიზნით, სასურველია სკოლაში ჩატარდეს ანკეტირება იმის შესახებ, თუ გაკვეთილების შემდეგ რითი სურს მოსწავლეს დაკავდეს?
2. მოსწავლის სოციალური გარემოს ჰარმონიზაცია , ამ გარემოს პედაგოგიური ათვისება სკოლის მოქმედების რადიუსში.
3. სკოლაში სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარება, სამოყვარულო და საკლუბო საქმიანობის გაშლა, ახალგაზრდული საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება მმართველობის დემოკრატიულ საწყისებზე, მათ შორის ბავშვთა თვითმმართველობაზე.
4. ვინაიდან მასწავლებლები ვერ ასრულებენ სათანადო დონეზე აღმზრდელ-დამრიგებლის მოვალეობებს, კლასგარეშე მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, უპრიანია აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები დაეკისროს სპეციალურად გამოყოფილ ადამიანს-სოციალურ პედაგოგს.
5. მიუხედავად იმისა რომ, მოსწავლეები თითქოს დადებითად აფასებენ კლასის დამრიგებელთან ურთიერთობას, მაინც განიცდიან ამ ურთიერთობის დეფიციტს, რაზედაც მეტყველებს თუნდაც ანკეტირების შედეგები. . მათ აკლიათ მასწავლებელთა სიტბო, მზრუნველობა, კომუნიკაცია და ურთიერთგაგება. თუ დამრიგებელი მოახერხებს მათი გულების დაპყრობას და თანაბრად გადაუნანილებს სიტბოს და ალერსს, სკოლა ნამდვილად სასურველი დაწესებულება გახდება მოსწავლეთათვის და არ შეიქმნება დისონანსი აღზრდის ჰარმონიაში.
6. კონფლიქტური ურთიერთობის წარმოქმნილი მიზეზების, ტიპების, კონფლიქტის დარეგულირების ხერხების და პირობების ცოდნა და ანალიზი დაეხმარება დამრიგებელს ეფექტურად მართოს კონფლიქტის წარმოქმნის, განვითარების და გადაწყვეტის სიტუაცია და

სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურობის ამაღლების საშუალებად აქციოს.

კლასგარეშე მუშაობის ორგანიზაციისას აუცილებელია პედაგოგიური კოლექტივისა და ხელმძღვანელობის ძალისხმევის მიმართვა:

1. მისი **შინაარსის მრავალფეროვნებაზე**, ანუ მან უნდა მოიცვას ზნეობრივი, ესთეტიკური, ფიზიკური და შრონითი აღზრდა.
2. ამ მუშაობის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს **მასობრივი ფორმების** გამოყენება, როგორც მოსწავლეთა აღზრდისათვის, ისე მათი თავისუფალი დროის გონივრული ორგანიზაციისათვის.
3. პედაგოგიურმა კოლექტივმა უნდა იზრუნოს, რომ კლასგარეშე მუშაობამ მოიცვას **ყველა მოსწავლე**.
4. კლასგარეშე მუშაობამ უნდა განავითაროს მოსწავლეთა საზოგადოებრივი ინტერესები, აქტივობები და დამოუკიდებლობა.

სწორედ ამ დებულებების გათვალისწინებით პედაგოგიურმა კოლექტივმა უნდა დაამუშავოს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის სისტემა, ხოლო სკოლის ხელმძღვანელობამ უნდა გაუწიოს მეთოდური დახმარება და განახორციელოს კონტროლი ჩატარებული მუშაობის ხარისხზე.

The Doctor of pedagogic in Sokhumi University, Faculty of Education

Summary

It will only be possible to introduce humane pedagogic in the educational practices if and only if every component of the pedagogic infrastructural vertebral column for educational process will be evaluated in the new manner.

One of the educative forms, for example, **after-school activities** is a unique way to form a child's personality and development. This activity mainly relies on three whales, three bridges: students, school and parents because of their responsibilities, contacts and interrelations.

In order to clarify the condition of after-school activities, the involvement of parents and students in different matters in educational institutions, the author of the work did a research in several public and private schools in Tbilisi; analyzed the results and developed recommendations for teachers to improve their work.

If a school will consider the factors of educative work in its practice, develop inner connections and rely on the recommendations, it will definitely be welcomed by the students as well as by the parents.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ამონაშვილი შ. «ფიქრები ჰუმანურ პედაგოგიკაზე». – მოსკოვი, 1996.
2. ახოზაძე ი. მუსიკალური აღზრდა კლასგარეშე მუშაობისას (1-4 კლასები). – დის. ავტ. – თბ. 1995.
3. ბარაბაძე ხ. სკოლის აღმზრდელობითი საქმიანობა განათლების სისტემაში მიმდინარე ინოვაციური პროცესების პირობებში. დის. ავტ. – თბ. 2005.
4. გიგიტაშვილი მ. ოჯახისა და სკოლის ერთობლივი მუშაობა აღზრდის ახალი პრინციპების განხორციელების საქმეში. – დის. ავტ. – თბ. 2005.
5. დევიდ პერკინსი, გონივრული სკოლები, თბ., 2007.
6. კოპალიანი ბ. მასწავლებლის სამაგიდო წიგნი. – თბილისი, “უნივერსალი”, 2010.
7. მაცნე- “საზოგადოებრივი განათლება – საზოგადოებრივად აქტიური სკოლა” – www.keef.krsk.infotel.ru 2002.
8. Маленкова Л.И. ПЕДАГОГИ, РОДИТЕЛИ, ДЕТИ (методическое пособие для воспитателей, классных руководителей). М.: изд-во педагогическое общество России, 2000.
9. Сергеева В.П. Классный руководитель в современной школе. 2-е изд., М.: ЦГЛ, 2003.
10. М. Рубцова Воспитание гуманных качеств подростков в семье. – М.: Просвещение, 1979.
11. Хоменко Школа и родители: Этапы развития социального партнёрства . – ж. « Директор школы» № 4. – М. 2007.
12. Циганова Ю. А. Внеклассная работа и степень ее влияния на развитие социальных качеств личности. = Челябинск, 2005.
13. Цомкало Л.В. Формирование коллектива класса, Челябинск, 2007.

	შინაარსი	
შესავალი		3
თავი I.		
კლასგარეშე მუშაობის შინაარსი, ფორმები, მეთოდები და ასპექტები სასკოლო პრაქტიკაში		
• კლასგარეშე საგანმანათლებლო– აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი და მისი როლი მოსწავლეთა სოციალიზაციაში		7
• კლასის დამრიგებელის და მოსწავლეთა თანამშრომლობის ასპექტები თანამედროვე სკოლის პრაქტიკაში		22
• სადამრიგებლო საათი, როგორც კლასგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ფორმა და მისი მნიშვნელობა მოსწავლის პიროვნების ფორმირებაში		29
თავი II.		
სკოლა – სოციუმთან ორგანიზებული ურთიერთობების ცენტრი		
• ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის შინაარსი და ახალი მიდგომები მათ ურთიერთობაში		44
• სკოლა და მშობლები: სოციალური თანამშრომლობის განვითარების ეტაპები		56
• კლასის დამრიგებელი “სკოლა–მშობლების” კონფლიქტში		60
• მშობელთა კრება–ურთიერთობის მუდმივი და წარმატებული ფორმა		70
დასკვნა-რეკომენდაციები		75
S A M M A R Y		79
გამოყენებული ლიტერატურა		80



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის ბუჩქნარის რაიონი, 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge